მერკ. (ჰოტენის.) შენ განტკბავისუფლად გაჭირვებინა, შენა. ოხ. როგორ მინდა ისე გაემდიდრდე და ისე მძვავრი კაცი გავხდე, რომ ამ ვერდელენს მოვატონო როდისმე დღევანდელი სიკეთე!

სოლ. უსაზრთოვან ნუსეი. ხომ დაგვკა!

მერკ. ჩემ ხეყნას კი არა უფლის სიტყვეს დაჭევა. თავის შერტხენას ას თუმანზედ შეტად მიდიხს.

ჟუსტინ. მადანოებიდამ გახლენ, ბატონო.

პირჟ. მოდისტკები და შკერვლები მოვიდნენ, ქალ-ბატონო.

ტერეზა. საკაბეები მოიტასეს, ბატონებო.

მერკ, კარგი, კარგი! ეხლა ყველაფერს მოვახერხებთ! ჩემი ქალი იქნება გრადინა დე-ლას-ბრიე. (მოსამსახურეებს) ჩემს კამბინეტში შემოვიყვანეთ! შე მობძანდნენ ყველანი. ჩემი დახლი დიაა! —

შემდეგი იქნება!

ანტონი I, საქართველოს კათალიკოსი¹⁾

(გამოკრებიული ცნობები ვრცელის მისის ცხოვრებიდან.)

~~„მოვიცაღე სხვათა ყოველთა კეთილთაგან,
და არა მოვიცაღე საქართველოსა მსახურებსაგან.“²⁾~~

~~ანტონი I.~~

დაუცხრომელი ანტონის შრომა მწიგნობრის ასპარეზზე და თანამემამულეთ სიუვარული თავგანწირულობადის ნათლად სხანს როგორც მოყვანილის, ეგრეთვე სხვა ამის სიტყვებიდანაც³⁾. კითხვა მხოლოდ იმაშია, აღსრულა იმან საქმით ამ სიტყვების აზრი, თუ არა? მაგრამ განა ასე ადვილია ამ კითხვაზედ პასუხის-გება, რომელშიაც უნდა იყოს მოკლე და ცხადად გამახატული, როგორც მისი სასოგადოებითი,

¹⁾ სიტყვა «კათალიკოსი» ძველსა და ახალს წერილებში შემხვედრია სხვა და სხვა ნაირად ნახმარი. ერთი სწერს «კათოლიკოსი», მეორე — «კათალიკოსი», მესამე — «კათოლიკოსი» მეოთხე — «კათალიკოსი» და სხვ. თუმცა ყველა ესენი გვინახავს, წაგვიკითხავს და შეგვითანხმებია, მაგრამ ჩვენ მანც არ მიგვიღია არც ერთი მათგანი ჩვენის დროისთვის კანონიერად. თვითონ ანტონი, მართალია, თითქმის ყოველგან, სადაც კი გვინახავს მისგან ხელმოწერილი ქაღალდები, ჰქმარობს თავ ასოთ კ-ს, და არა ქ-ს, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ამას მოსდიოდა ესეც, როგორც მრავალი სხვა, ძველი მწერლების მიხედვით. ჩვენ მივიღეთ სახეში თანამედროვე გამოთქმა ამ სიტყვისა მდებარე სახალხო ლაპარაკში და როგორც მომხრენი იმ მიმართულებისა, რომელიც ცდილობს დაუახლოვოს ძველი მწიგნობრული ენა ცოცხალს, თანამედროვე

ეგრეთვე კერძობითი ცხოვრება, ცაულებს ხალხზედ და მისგან მოტანილი სსსანგებდღა ანუ სსსანგდღა ნაყოფი? იქნება ბევრისათვის უადვილესი იყოს ესრეთი ზასუხი, მაგრამ ჩვენ სამხელოდ მიგვანხიან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ კიდით დაჟეშმარტებით. მისი კერძობითი ცხოვრება და მოქმედება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და კიდევ უნდა ჭქონდეს იმის დაფასებაში, როგორც კაცისა, სასოგადოების წევრისა, საქართველოს ეკლესიის თავისა, იმის მმართველისა, მწერალისა და სხვ. და სხვ. ეს არის სხვათა შორის, მიზეზი, რომ ჩვენ ამ მოკლე შენიშვნაში გავურს გარდავსცეთ ამ გვარ ცნობების მოყვარე ქართველებს, რაც შეიძლება მოკლედ შესანიშნავა ამბები ანტონი ქათალიკოზის ცხოვრებიდან. რომელიც აქამდის იყო (თუ იყო რაშე ამ ცკარი) სავსე შეტომილებით.

I

ანტონი საერო წოდებაში (1720) — 1739). რადგან ზატოვ-ცემულმა ჩვენმა მწერლებმა¹⁾ აქამდის არ იციან ანტონის შობის დრო, ჩვენ

სახალხო და ყველასთვის ადვილად გასაგონს ენას, მივიღეთ უფრო კანონიერად ა ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ა . წინააღმდეგ ზოგიერთის ჩვენის მწერლებისა. ესრე არის ნახმარი ესევე სახელი ბევრს ხელთ-ნაწერებში. რომლებიც ეკუთვნიან წარსულის საუკუნის ბოლოს და მდგომარის დასაწყისს. გვქონდა ეგრეთვე სახეში როგორც აღნიშნული სახელის ხმარება ზოგიერთს ძველსა და ახალს წერილებში, ეგრეთვე ქართული ენის თვისება, რომლის ძალითაც უნებო ქვეყნის სიტყვა ჩვენს ენაზედ იღებს შესაფერს ცვლილებას ბუნებითის კანონით. ერთს უაძრის წარწერაში ანტონი ქათალიკოზი იწოდება «დავითიანად». Ошце. ир. Тифа. 1866 г. стр. 77—78.

¹⁾ წინა სიტყვაობა ბუშეისტრის ფილოსოფიისა, დაწერილი ანტონისაგან.

²⁾ წუობილ სიტყვაობა: გვერ. 297

³⁾ წუობ. სიტყვ. 1853 წ. გვ. VII Ежемил. Словарь, 1862 г. т. IV. стр. 563. О грамматической литературе груз. языка. А. Цагарели, 1873 г., стр. 1. ჩვენ შემატანიეთაგან არავინ იხსენიებს, თუ რა წელში დაიბადა ანტონი.

პირველადვე მოვიყვანო იმისკე სიტყვებს, რომლებიც ამას ცხადად დაგვიანებენ. ანტონის „მზა-მეტყველების“ ბოლოს კვითხულობთ შემდგომ მის სიტყვებს: „ვიყავ, ოდეს სრულ იქმნა წიგნი ესე, მე ანტონი მამათ მთავარი (ამ სიტყვას ჭმარობს ქათალიკოზის მაგიერ) სრულიად საქართველოისა, წლისა 31-სა და თთვისა 4-სა; ხოლო მონაზონობისა აღკვეცისა შემდგომად დამეყო წელიწადი ვითარ 13, ხოლო მამათ მთავრობისა შინა წელიწადი 7 და თთვე 8.“ ამ სიტყვებდგან სხანს, რომ ანტონმა შეიმოსა ბერობა 19 წლისამ, და ჰყო ამ ხარისხში ხუთი წელი, რომლის შემდეგ აღვიდა საქათალიკოსო ტახტზედ, როდესაც ის იყო 24-ს წლისა. მართლდა ჩვენს ხელთ-ნაწერ „მზა-მეტყველებაში“ არ არის ნახვენები, თუ რომელს წელში გაუთავებია ანტონს ამის წერა, მაგრამ რადგან კიდით ჩვენს მატრიანებიდგან, რომ ანტონმა მიიღო ქათალიკოზობა 1744 წ. ⁵⁾ შემდეგ რომლისა მან დაჰყო 7 წელი და 8 თვე აღნიშნულის წიგნის დასრულებამდის, დაწმენებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ანტონი დაიბადა 1720, შედგა ბერად 1739, მიიღო ქათალიკოზობა 1744 და გაათავა თავისი „მზა-მეტყველება“ 1752 წ. ამისთანა დაბოლოებამდის მიუყვართ ყველა წერალებს, სადაც კი მოხსენებულია ანტონის წლოვანება ⁶⁾). რაც შეეხება საერო სახელს ანტონისას, აქაც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მწერლები უსაფუძვლოდ ეძახიან არჩილს. ჩვენს წერილებში არსად შევხვებდრით, რომ ამას ეს სახელი ეწოდებოდა ბერობამდის. ამ შემთხვევაში ჩვენ გეწმენებით აკ. მ. ბრესესს, რომელსაც მოჭყავს პუნლები მოსკოვის უცხო ქვეყნების სამინისტროს არხივიდგან (Арх. Минист. Иностран. Дѣл) და ბოლოს ამბობს: „ესრედ არ შეიძლება ეჭვილა გვექონდეს იმაში რომ ქათალი-

⁵⁾ ქართლის ცხოვრ. ნაწ. 2. გვ. 256. Zjirt. mod. de la Géor. p. 11 II, livr. 2, p. 531, 540.

⁶⁾ Переписка грузин. царей не иностран. языковъ съ русскими государями, 1862 г. с.р. LXXXVIII.

კოზ ანტონს ბერობამდის ეწოდებოდა სახელად თეიმურაზ⁷⁾. (რადგან ჩვენ გამოცდილებით დაკრწმუნდით. რომ რუსეთის აჩხიკებში უფრო ჭკნმარტი ცნობები იპოვებინ ჩვენის ისტორიის და რომელთავე პირების შესახებ, მინამდის ჩვენი ახალი მწერლების შრომასი და ზოგიერთ ძველ მატანებშიაც, ამისათვის აღნიშნული ანტონის საკროსხელიც მიგვანხნა (აფუძვლიანად.) მამა თეიმურაზისა იყო მეფე იასე, ძე ბატონიშვილის ჯეონისა, და მძის წული მეფის ვასტანც VI სუფლას მდებარისა, ხალხს დედა ელიაბედი⁸⁾, მეფე ირაკლი I-ს ქალი. თეიმურაზსა ჭყვანდა ორი და—ანასტასია და მარია⁹⁾. 1727 წ.¹⁰⁾ გარდიცვალა იასე, მამა თეიმურაზისა, და დაჩინენ ობლად დედის მსრუტეობის ქვეშ საში პირი. თურგორი განათლება მიიღო თეიმურაზმა უმაწილლობაში, ამახედ ჩვენ თითქმის ვერავითარი საფუძვლიანი ცნობები ვერსად ვნახეთ. ჰ. იოსელიანი და დ. ჩუბინოვი¹¹⁾ სწერენ, ვითომც ანტონს ესწავლას დავით გარეჯის მონასტერში და ჭელადეს მასწავლებლად აჩხიმანდრეტი სტირიდონ,

7) Hist. de la Geor. II 2 p. 62. 228. Иерен. рызм. иер. стр. LXXXVIII.

8) ზოგნი სახელს სდებენ ამასვე აბეგუმ, ფელენე. ჩვენ ვარჩივით სამუდამო მის სახელად ელისაბედ, რადგან თვით შვილი უწოდებს თავის დედას აღნიშნულს სახელს. წყობ. სიტყვ. მუხლი 835 ქართ. ცხოვ. ნაწ. 2. გვერ. 253, 327.

9) წყობ. სიტყვ. მუხ. 833—837. ჩვენ არას ვამბობთ დროებამდის სვია თეიმურაზის ნათესავეზად, რომლებსაც იხსენიებს ავ. ბროსე თავის Hist. mod. de la Géor. II, I, p. 628.

10) ქართ. ცხოვ. ნაწ. 2, გვ. 254. წინააღმდეგ ამისა ა. ცაგარელი სწერს რომ იასე მოკვდა 1729 წ. O gram. int. p. 3. 1373 p. стр. 2. ზოგნი ამ დროს სთვლიან 1833 წ. ქართ. ცხოვ. ნაწ. 2. გვ. 476.

11) Енцикл. словарь стр, 563, წყობილ-სიტყვ. გვ. V—VI. ამათვე ერწმუნება თავშეუწუნებლად ა. ცაგარელიც, O gram. int. p. 3, стр. 1,

ნოდარ ხერხეულიძე, იოსებ ფაღვანდიშვილი, სათათრაღი მიწისა და ჰამიფილის მიტროპოლიტი ჰარსენი, მიეღეს ეგრეთვე მონაწილეობა საბა ობოლიანს „სიბრძნე-სიცრუის“ მწერალს; მაგრამ არ შეიძლება არ მოვსთხოვოთ იმათ ჰასუხა, თუ რაზედ აფუძნებენ ისინი თავიანთ აზრს? გარდამოცემით იტინ იმათ ესენი, შობიღვან დაჭედილათ, წერილებიღვან ვამოუგვლევიათ, თუ თითონ მოუგონათ თეიმურაზის საგრო ცხოვრების შესავრებლად? ამისთანა ცნობებს გარდა, ჩვენ ველარაფერს ვპოულობთ წერილებში თეიმურაზზედ მე-17-ტე მის წლოვანებაში. ვიცით მხოლოდ, რომ თხოთმეტის წლის თეიმურაზს (1735 წ.) უკვე ჰყვანდა ცოლად გივი ამილახვრის ქალი, რომელიც მოეწონა ამ დროს მეფეს სპარსეთის შაჰ-ნადირს (ეს წინათა იწოდებოდა თამაზ-ხანად) ¹²⁾ და თვითონ მამას მიყვანის თავის ქალი საქართველადგან სპარსეთში. ამ შემთხვევის თანა შედროვე ჩვენი მემატიანე ჰასუხა ობოლიანიც სწერს ამაზედ, მაგრამ ისე ბნელად და მიუხდომელად, რომ ძნელია შეითხველმა ეს ადგილი ნამდვილად ახსნას, თუ არ არის ამისათვის მომზადებული სხვა წყაროებადგან. აი ნამდვილი ამის სიტყვები: „1735 წ. დაებარებინა თამაზ-ხანს (შაჰ-ნადირია) ამილახვარი; გავიდა, წავიდა, ჩავიდა. გაუწყრა და დაიქირა. ამისათვის ქალი ეთხოვნა, ვერ მიცა. რა დაიქირა და უპატიოდ გახადა, დაიბარა და ჩავგვარა; მაგრამ აღარ გამოუშვა“ (ესე იგი

¹²⁾ История Георіанская о юности князѣ Амилახваровѣ, перев. И. С. 1779 г. Спб., посвящ. Потемкину, стр. 53 Екземп. зг. книги въ император. публичной библіот. въ Петер., ბევრი შესაძრწუნებელი ანბები არის გადმოცემული ამ წიგნში შინაურს ჩვენს ცხოვრებაზედ იმ დროს. ამ წიგნში სასაჯრელად არ არის გამოხატული ზოგიერთი განკარგულება მეფის ირაკლი მეორისა. აქ არის დახატული ირაკლი დესპოტურის ხასიათით. — ირაკლის თვით ამ წიგნში ავტორისთვის მოუჭრია, რაღაც დანაშაულობაზედ, ცხვირი არ იქნება ურიგო, რომ ეს წიგნი გადმოიღოს ვინმემ ქართულად, როგორც ძვირად საშოვარი და ჩვენი ისტორიისთვის ზოგიერთ შემთხვევაში გამოსადეგი მახლა.

ქალი.) ¹³⁾ არ შეიძლება გავამტუნოთ ჩვენი შემატინე იმასი, რომ ის ბნელად სწერს ისტორიულ ფაქტს. უკეთე მივიღებო სახეში მანდელს გარემოებას, თეიმურაზის და ამილახვრის მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოებაში. მაგრამ რით ვახსნათ ის შემთხვევა, რომ ჩვენი დროის მწერალმა განსვენებულმა პ. იოსელიანმა ამ საგნის შესახებ ვერაფერი გვითხრა ცხადად და გასაგონად? დრო არის, ჩვენის იფიქროთ, ცხადად და თავისუფლად გამოხატვას თავის აზრები შესახებ ამისთანა საგნებისა და ათას ნაირად გასაგონის სიტყვებით ¹⁴⁾ არ ვაქაფოთილებდეთ ჩვენს მკითხველებს, თუ ვი მართლად და ვიცით, რაში ამ გვარია; თუ თანამედროვენი ვერა შთამთავლებს მანც დაათვალებს ჩვენს დეაწეს სამშობლო ისტორიის ლიტერატურისათვის.

გავრძელება საჭირო არ არის, რომ მასის თვით-მნიშვნელობას ექმნებოდა მამაკვდინებელი მნიშვნელობა თეიმურაზისათვის, თუ მივიღებოთ სახეში იმის განუხრამელს სიამაყეს და თავმოყვარებას. ესევე იყო მიზეზი, რომ იმან ამ შემთხვევის შემდეგ ჩქარა დანება თავი ქართლ-კახეთს და წავიდა იმერეთს. მაგრამ იმერეთი არ გამხდარა იმის სამუდამო სადგომად. ამან მოინდომა რუსეთში წასვლა და კიდევ ადასრულა თავის წადილი. დედა თეიმურაზისა, მთაწმინდის ელისაბედი და თვით შვილი გაემგზავრენ რუსეთისაკენ და მივიდნენ კიდევ ასტრახანამდის 1738 წ., მაგრამ, მათს საუბედროდ, იქ მოისმინეს, რომ ისინი დაბრუნდნენ უკანვე, ელისაბედი ბეჭი ეცადა, ბეჭი იტირა, გამოაეცხადა კიდევ, რომ მე აქედან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდებიო, მაგრამ „ძალი აღმართსა ჰხნავს,“ ბრძანების ძალით მანც დაბრუნეს უკან თავის შვილით და მოიყვანეს რუსეთის სამზღვარ-გარეთ, ჩერქესების ახლო. ეს შემთხვევა თეიმურაზს არ მოეწონა და უკან დაბრუნების შემდეგ, ის რუსეთში აღარ წასულა, თუმ-

13) ქართლის ცხოვრება, ნაწილი 2, გვერდი 339.

14) წყობილ სიტყვაობა, გვერდი VI.

ცა, საქმის გამოძახების შემდეგ, მისცეს დედა-შვილს მასკოვში მისვლის ნება. გრეგენას ყაზახების ქაღალქმა (ГОРОДЪ РЯБЕНЕНКІНАХЪ КАЗАХОВЪ) დაშორდნენ ერთმანეთს და და შვილი, — მონასტონი ელისაბედი წაშავიდა მოსკოვს, ხოლო თეიმურაზი დაბრუნდა იმერეთს¹⁵⁾.

II

ანტონი ბერობაში (1739 — 1744). მოსკოვის შემდეგვე ქუთაისში თეიმურაზმა ჩქარა მიიღო მონასტონის და ახალი სასულიერო ანტონი, სასულიერო 1741 წ.¹⁶⁾ თუ როგორ და როდის გადავიდა

¹⁵⁾ М. Вроде, Церк. трыз. нар. съ рус. іосед. стр LXXXVIII, Hist. de la Géor. II. 2. p. 62. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ პატივცემულმა აკ. ბროსემ, როგორც ვფიქრობთ ნაჩვენების დოკუმენტების საფუძველით, შეწომით დასწერა თეიმურაზის (ანტონის სახელია ერისკაცობაში) დედის ელისაბედის შესვლა რუსეთში 1742 წ. სხანს, რომ აკ. ბროსეს ჯერ თვითონაც არა სცოდნია ეს შემთხვევა. იქნება ბოლოს ესეც ისე შესცვალა, როგორც მაგ. ანტონის ვითომ პირველად მოსვლაზედ რუსეთში 1772 წ. ჩვენ ვფიქრობთ. რომ ის თავის-თავს ეწინააღმდეგება და არღვევს იმას, რაც თვითონვე დასწერა ნაჩვენებს წიგნშივე გვ. 62. იქნება ამ მუხლის შესახებაც ბოლოს ისეთივე ბოდიში მოიხადა, როგორსაც კვითხულობთ მაგ. 541 გვერდზედ, რომლითაც ასწორებს თავის შეცოდებას, დაწერილს 531 გვერდზედ, მაგრამ ჯერ ჩვენ არ შეგვხვედრია ამ გვარი ადგილი მის წერილებში. Hist. II. 2. p. 429. ელისაბედი გარდაიცვალა მოსკოვში და დასაფლავდა დონის მონასტერში. Опис. др. Тифл. стр 117.

¹⁶⁾ შესანიშნავია, რომ პ. იოსელიანი (წყობ. სიტყვ. გვ. VI). და ჩუბინოვი (Истор. слов. т. IV. стр. 563) და ა. ცაგარელი (О грам. лит. рруз. яз. 1873 г. стр 2) ერთხმად გვარწმუნებენ, რომ ანტონი 1738 წ. უკვე იყო ქუთაისის მიტროპოლიტად, როდესაც ეს ჯერ უბრალო ბერიც არა ყოფილა, რომელი უნდა იყოს ამათში დამნაშავე.

ერთას ხარისხიდან მეორესედ და ბოლოს მიიღო ეპისკოპოსობა ქუთაისში, ამავედ საეპისკოპოსო ცნობები ვერსად ვპოვეთ, ეს ვინამდვილია, რომ ანტონი 10 ივლისამდის 1741 წ. უკვე იყო ქუთაისის ეპისკოპოსად¹⁶⁾. ხოლო ესა დასაბუთება ამან თავი ქუთაისს და გამოემგზავრა კახეთისკენ და უკან აღარ დაბრუნებულა. აქ ის სტხოვრებდა თელავში, თავის ნათესავის, კახეთის დედოფლის თამარის (ეს იყო ვასტანგ VI ქალი და თეიმურაზ II ცოლი) სახლში. იანვარში 1742 წ. მიიტყვალა ქათალიკოზი დომენტი, რომლის მოადგილეთ უნდათ როგორც თვით გარდაცვალებულის სიცოცხლეშივე, ეგრეთვე საეპისკოპოსო კრებას ანტონი, მაგრამ ამან „არა ინება და არღარა მიიღო უმაღლესი ხარისხი სიმდაბლისა და სათნობისათვის“¹⁷⁾. ამის უარის თქმის შემდეგ, ამოიწივეს ქათალიკოზად უბნისის ეპისკოპოსი ნიკოლოზ სერსეულიძე, რომელსაც 1744 წ. ერთის უბრალო მიზნისათვის სცა თამაზის შვილმა ტარიელ სატევარი შაკვითა და მოკლა“¹⁸⁾. ესა მეორედ ამოიწივა ადგილობრივმა საეპისკოპოსო კრებამ ქათალიკოპოსობის ადგილზედ ანტონი, რომელიც თან მოტყუა დედოფალს თამარს. თელავიდან თვითლის გარდამოსახლების დროს, როგორც ქართლის დედოფალი¹⁹⁾. ანტონმა ესაჯერა „არ ინება. აწ-ცა ინება უარის ყოფა; აიქულებდა დედოფალი და ანუ დასნი სამღვდელთათანი, არღარ უარჰყო და ღართვა ნება“²⁰⁾.

16) Hist. de la Géor. II. 28. p. 63.

17) ქართლ.-ცხოვრ. ნაწ. 2. გვ. 349.

18) იქვე გვ. 371. 501.

19) ამ დრომდის თეიმურაზ II იყო კახეთის მეფედ, ხოლო ესა ქორონიკონს უღბ (1744), თვესა ივლისსა, მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ქესა მეფისასა ერეკლეს. ქართლ.-ცხოვრ. ნაწილი 2. გვ. 369.

20) იქვე გვ. 256, 372, 501. Hist. mod de la Géor. II. 2. p. 88, 228, 531.

III

ანტონი ქათალიკოზების ხარისხში (1744—1756). 1744 წელსვე მოუვიდა ანტონს, თანხმად მიუღო თეიმურაზისა წარდგენისა, რაჟამი (Фирманъ) ნადირ-შაჰისა, რომელითაც მან გამაყენდა თავის თანხმობა ქათალიკოზსად ამოქრევასად²¹). ავიდა რა ასაღეს კათედრად, ანტონის შინაურმა და სასოკადლოებრივმა მნიშვნელობამ დგავდნამ მიიღეს ახალი ხასიათი; გამოიცვალა მისი მდგომარეობა სასლიდგან დაწვობილი ტანთ-სამოსლამდის²²). ეს იღებს მონაწილეობას უოკელს ბედნიერს და უბედურს საქმეში, რომელნიც შეეხებოდა რეალურ საკუთრად მიწებს და იმის სახლობას, ვეროვე საეკლესიო წესს²³). შესანაშინა განსაკუთრებით იმისა ურდადლება იმავედ, რომ განუძმობესოს თავისი სამწყსოს დაცემული სხეობითი მხარე და ჭმარობს კიდევ დროების და თვით ხალხის შესაყენს საშუალებებს, შედის თვითონ პირად იმათ საოჯახო საქმეებში და მოაქვს

²¹) Акты Кавк. Арх. Ком, т. 1. стр. 75. თუმცა ცხადად სხანს როგორც ნაჩვენების მოწმობიდან, ვეროვე სხვა წყაროებიდანაც დრო როდესაც ანტონმა მიიღო ქათალიკოზობა, მაგრამ ჩვენი მწერლების კალამ ქვეშ ეს დრო მრავალ-გვარად შეიცვალა, მაგ. ერთი მათგანი ხსენებულ დროდ გვიჩვენებს 1745 წ. (Hist. de la Géorg. I. p. 628. Акты Кавк. Ар. Ком. т. 1. стр. 74—75), მეორე — 1747 (წილობ. სიტყვ. გვ. VII. О грам. ант. груз яз., Ал. Цак. стр. 2), მესამე — ხან 1744 და ხან 1747 Энцикл. слов. стр. 563. ქართ. ქრისტ. გამოც. 1. 1846 წ. გვ. VII). ვგონებთ ეხლა დრო იყოს დათანხმებისა

²²) Акты Кав. Ар. № 1. ст. 20, 48. Опис. др. Тифл. стр. 269. Истор. изоб. № 1802 № стр. 53. Ист. груз' иерар. 1826 г. стр. 17.

²³) ქართლ.-ცხოვრ. ნაწ. გვ. 383—385, 389, 392, 395, 406, 409, 417, 418, 423, 428, 429, 433, 447, 455. Hist. de la Géorg. II. 2. p. 101—197. Опис. древн. Тифл. стр. 52, 55.

ვიდეც შესაფერი ნაყოფი; მისის წინამძღოლებით სამღვდელთა კრება თფილისში ახლებს დავიწებულს 1723-გან საეკლესიო წიგნების ბეჭედს და სხვ. ²⁴⁾ ამისთანა ანტონის შეცდინეობა საშობლო ეკლესიის და საზოგადოებას სასარგებლოდ არ დაჩქობილა შეუნიშნავად თანამედროვეთაგან. მრავალნი ამათგანსი უცხადებდნენ ამას თავანთ თანაგრძნობას და უძღვნიდნენ შესაფერს, მათის შეხედულებით, ჯილდოს ²⁵⁾. როგორც ნახვებები მხარეები, შესანიშნავი ეტყობენ ანტონის შრომა სამშობლო კნის და ლიტერატურისთვის აღნიშნულ დროს. ამ გვარნი შრომა, ჩვენის უიქროთ, იმან დააწერა თავის ლექსებით „ანბანთ-ქება“ ²⁶⁾, რომელიც, შინაწის მახედულობით, შეიძლება დაეწერა ანტონს არა ადრე 1734 და არა გვიან 1739 წ. გარდა ამისა 1756 წლამდის ანტონმა გადმოთარგმნა რამდენიმე წიგნი, როგორც თვითონვე ცხადობებს: „უწინაეს იმჟამად რიასსიისა წარსელისა ჩემისა, სწერს ანტონი, გარდამოღება ვეფე ფილიპპესთანა სუფისა სომეხთაგანისა დიალექტიკისადა ^{26*)} და ათნი კატელორიანი არისტოტელეებრნი ^{26***)} სხვა და სხვითა მაგალითე-

²⁴⁾ Акты Кавк. Арх. Ком. т. 1. стр. 55—56. ქართლ.-ცხოვრ. ნაწ. 2. გვ. 417 Hist. de la Géor. II, 2. p. 40.

²⁵⁾ იქვე стр. 75—77. Он. др. Тифл. стр. 222—228. ქართლ.-ცხოვრ. ნაწილი 2. გვ. 415—417. 452—653. Hist. de la Géor. II. 2. p. 137—139. 180—181.

²⁶⁾ Пакег. ნაწლ. Ак. наук. Эта рукопись значится под № 79. როგორთი ჩვენი მწერალთაგანი ცდილობს დაფასოს ანტონის ლიტერატურული ნიჭი მხოლოდ ამ ლექსის მიხედულობით. «ცისკარი» 1862 წ., მისის გვ. 347—353.

^{26*)} ამ წიგნის შესახებ სხვა ადგილს სწერს ანტონი: «ვქმენ დიალექტიკაი სომხურისაგან გარდმოღებაი დალა თუ ვერღა სრულ-გვეფე უბადრუებათა ძლით ჩემთა.» წინა სიტყვაება წიგნისა: «დასაბამნი ფილოსოფიისა ახლისანი,» თარგმნილი მისგანვე 1762 წლამდის. წუგბილ-სიტყვ: გვ. 24.

^{26***)} ანტონის წიგნთ კატალოგში ვკითხულობთ № 271-ქვეშ: «ანტონი კათალიკოზის 1-გან სომხურიდამ გარდმოღებული თვით არისტოტელის ფილოსოფოსის კატელორია დიდად ღრმად გასატონი.»

ბითა განეკარგენ: და კვალად ხუთნი ხმანი ზიარებითურთ და განყოფით პორფირიას ჭინიკელისანი, რომელნიმე მცირეთა შინა ნაქუსთა შევაწყვიდენ, და რომელნიმე განეკარგენ²⁷⁾.²⁸ გაჩდა ამისა ანტონმა დასწერა 1748 წ. დამატებითნი კანონნი პატივად წმ. მოწამისა აბიბოს ნეკრესლისა^{27*}.) დაბეჭდა თბილისში 18 თებერვალს 1751 წელს „ქადაგება ღვთის-მეტყველება დღესასწაულსა მიკებებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა ეკლესიასა შინა თვისისა პალატისასა“²⁸⁾. 1752 წ. ამან გაათავა თავისი „ზნა-მეტყველება,“ როგორც ვიხილეთ ზეითა. 1753 წ. გაათავა პირველი გრამმატიკა²⁹⁾. ამ უკანასკნელ ორ თხზულებაზედ მარტო თვითონ ან უმუშავნია ანტონს. ამას ჭკეულადნენ როგორც სომეხთა მოძღვარი ფილიპე კაიციზაშვილი, ეგრეთვე კათოლიკების მასლიანელები თარგმნით სომხურისა და ღათანურის ენისაგან. ამ უკანასკნელებთან დაახლოვებას ჭქონდა ანტონისათვის ის შედეგი, რომ ეს „1753 (უნდა 1755), ქარონიკონს უმგ, იქმნა მეტოზმილ და მიიღო სარწმუნოება რომის კათოლიკისა“³⁰⁾ ჭეშმად

²⁷⁾ წინა-სიტყვ. მახითარის რიგორიკისა, დაწერილი ანტონისაგან. Путь-вья замѣтки по Кахетин, II. loc. стр. 98.

^{27*)} Путь-зам. по Ках. стр. 114.

²⁸⁾ ეს ქადაგება იპოვება პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სწიგნეში, კატალოგში არის ჩაწერილი № 159—ქართული წიგნების და ხელთ ნაწერების განყოფილებაში.

²⁹⁾ ეს გრამმატიკა პეტერ. სამეც. აკადემ. წიგნების კატალოგში არის ჩაწერილი № 88-ქვეშ.

³⁰⁾ ქართ.-ცხოვრ. ნაწ. 2. გვ. 504 ამ კითხვის შესახებ მწერალნი არ არიან თანხმანი. ერთნი დაბეჯითებით სწერენ, რომ ანტონმა მიიღო კათოლიკობა—Ист. Георг. о юномъ кн. Ашх. 1. 1779 г. стр. 52—53 Крем. Ист. груз. пер., II. loc. 1843 г. 2 изд. стр. 128. წუბ.-სიტყვ. 1853 წ. გვ. VIII—IX. Hist. mod de la Géor. 1857, pet. II. livr. 2. p. 234. ხოლო მეორენი ხსნიან ამ შემთხვევას ეჭვით ანუ ცილის წამებით. История изображ. Грузин 1802 г. СПб. стр. 74. Ак. Кавк. Арх. Ком. т. 1. стр. 551. ქართლ.-ცხოვრ. ნაწ. 2. გვ. 257. ქართული ქრისტომატ. 1846 წ. გვ. Энциклоп. слов. 1862 г. т. IV. стр. 563. ჩვენ, როგორც ჭნედავს მკითხველი, მივიღეთ პირველი.

ტიტება ამ ფაქტისა ცხადად სხანს როგორც ადგილობრივი ეკლესიის კრების გარდაწყვეტილებისაგან, ეგრეთვე თვით ანტონის ნაწერებიდან ³¹⁾. ეს იყო მიზეზი, რომ სამღვდელთ კრებამ შეიფარა თეიმურაზ II თანა დასწრებით 16 დეკემბერს 1755 წ. „დაამხრო ანტონი საყდრიდგან მისისა (ე. ი. აღკვამდა მღვდელთ-მოქმედება) და განუწესა კანონად დაცადებაი შეწირვისაგან უსისხლოისა მსხვერპლისა თთვეთა ათვრამეტითა, და მერმელა შეწირვად სამღვდელთისა ლიტურგიისა“ ³²⁾. მაგრამ სამი თვის შემდეგვე სწეს „ფრიადი სინანული ანტონისა და ყოვლითურთ უცხო-ყოფა წვალებისაგან პაპის-მომსაეთა ლათინთასა.“ აი რას სწეს, სხვათა შორის. ანტონი თავის თხოვნაში შეიფარა თეიმურაზთან: „რა გქნა, ჩემი სინიდისი მამხილებს, რომ აძლენი თავის წყნს ან გაბედება ჩემგან ასეთი დანაშაული მქვს... ჭეშმარიტებამ იცის, რომელი სჯად მამაქალაი, რომ წერილისგან შეესციდი ამ ორს სიტყვაზედ: სულის წმინდის საქმეზედ და პაპის უფროსობაზედ... ჩემთანა საეკლესიო უღარენციის უკეთურის შესაკრებლისა არღარა არის რა, — წმიდამან სამებამ იცის და ზეცისა ძალთა იცინ, — არც დღეს მჯდომს რომის პაპის წვალების მწიგუფი ჩემს გონებას შეამწიგულებს“ ³³⁾ შეიფარა და სამღვდელთ კრებამ, მიიღეს რა სახეში მისი თხოვნა და ქვევა, მისცეს წირვის ნება ადღვომის დღეს და შემდეგ გაისტუმრეს რუსეთისაკენ. „წაბძანდა ქათალიკოზი ანტონი ბატონი-შვილი გორილამ რუსეთს თვესა აპრილსა... (1756 წ.), მივიდა

³¹⁾ მნათობი 1872 წ. თებერვლის წიგნი, გვ. 51—53. მიწაულეს განმარტება ქათალიკოზისა.

³²⁾ მნათობი 1872 წ. თებერვალი, გვ. 51—53.

³³⁾ იქვე.

³⁴⁾ იქვე.

ანანურს, თან გაჰყვა ხევის სამძღვრამდრხ ერისთავი ჯიმშერა,
ჩაბძანდა ანტონი ბატონიშვილი თავისის კრებითა ყიზლარს³⁵⁾.

IV

ანტონი რუსეთში. (1756—1762) 9. ოკტომბერს 1756 წ-
სტკანანის ახსნიანდრეტი მეთაუდა ანობებს უწმინდესს სინოდს, რომ
წაწსუღს 15 აგვისტოს მოვიდა საქართველადამ აღნიშნულს ყიზ-
ლარის ციხეში (Кизлярская крепость) საქართველს პატრია რქი

35) ქართლ.-ცხვრ. ნაწილი 2. გვ. 469—470. His de la Géor. part.
II. livr. 2. p. 197. 234. ომი ანტონთან და მისი ძლევა მტერთაგან სასი-
ნარულო უნდა ყოფილიყო უკანასკნელათვის. ეს ომი და ძლევა, როგორც
გადმოგვცეს ზეპირ-სიტყუაობით უუ. დ. ჩუბინოვა და აკ. მ. ბროსემ არის
ვითომც გამოხატული ზაქარია გაბაშვილისაგან—ნამოდვრალისა დაწერილს
სატირულს ლექსებში კაცას ომში და კაცისაგან სიზმარში კუდის ნახვა და
ჯირილი. ქართ. ქრისტომ. გამოც. 1863 წ. დ. ჩუბინოვისაგან; ნაწილი 2.
გვ.-22-26. თუ მივიღებთ სახეში აღნიშნული სატირული ლექსის შინაარსს,
არ შეიძლება არ დავეთანხმობთ ამ აზრს, თუმცა დაწვრილებით ახსნას ყველა
მუხლებისას უნდა დაახლოვებით ცოდნა მაშინდელის საზოგადოებისა და გან-
საკუთრებით ხსენებულს ომში გამოყვანილს მოწინავე პირებისა, რომლებზე-
დაც ჩვენ კერძო და ვრცელი ცნობები არა ვითარი გვაქვს. მცოდნეთათვის
ცარიელი აღგილი დამზადებულია. უსარგებლო არ იქნება ამ შემთხვევაში,
რომ ამოვიღოთ ხსენებულის ლექსიდან რაოდენიმე მუხლი, რომლებიც თით-
ქმის გვიხატვენ და წინ გვიდგენენ მოქმედ პირებს. მეომარ პირებად გამო-
დიან ერთის მხრით კაცა და მეორით თაგვები.

კაცა. ღომი ვარ ძველად, ახგართ მტემელად, ცეცხლებრ დაშველად,
გარგანმზნეველად,
მე თქვენდა მსვრულად, სისხლისა მსმელად, შთაყარნე სვრულად და გმუს-
რნე ნელად...

«ოთხთა თქვეს: მოვკლათ თრიითინა სისხლი დავიდოთ, ვით ინა.»

თაგენი. «თაგეთა სპარსეკმან კაცასა ბასრი ხმალი შეახვიდინა,
დაჰკრა თემსა, ესმა თემსა, ყირა შეღმა შეადინა.»

ანტონი და მასთან აზიან სამღვდლონიც...³⁶) 17 მარტს 1757წ. უკვე აზის ზეტერბურღში. აქ იმან მისცა თხოვნა იმპერატრიცა ელისაბედ ჰეტრეს ასულს, რომელშიაც ესა სთხოვს, სხვათა შორის, მიღებას თავის სამღვდლობაში და ადგილს საცხოვრებლად. რაც შეეხება მიზეზს, თუ რასთვის დანება ამან თავი, სამშობლად ქვეყანას, ანტონი თხოვნაში იხსენიებს, რომ შეფე თემურჩაზმა „ცილი დამწამა და გამამტყუნა უდანაშაულოდ“³⁷). დამატებით არჩებში, რომელ-

ჩომანტერით დაუსისხლეს კაცას თავის ბაკუნანი,
 ზედ არგანი დაუხშირეს, ბეჭებს გააქვს ბრაგუნანი.
 ყურება გულსა, წყლულ დადაგულსა, ცირს, სით მოვშავდი ამითი მე რად.
 ნაზს უანს ისარი მოასხეს, სისხლი ჰსდის გარეს გარესო,
 ჭაჭა ჩიოდა, ციროდა, ჭენესოდა მწარეს მწარესო:

კაცა: თაგვთაგან ვეველები, ვირცხენი და ვდნები, მოყმე-ჭაბუკი, ქებული
 კველად.

კაცის ძალი და სამალი იქმნა ღოცოლვა დასამალი!
 მაგრა შეკარ ფახე ფახე, ჩერქეზებში წახე წახე.
 ჭაჭავ, ფრანგულის ომის მსწავლელო; თაგვთაგან წყლულო, გულ-დადა-
 გულო.

ქაბას შივა გვეკარება, თან წაიყვანს პაპუნასა.
 ციტავ; ველარ დალიონდი, დამიღონდი გამიფრინდი.
 ბეწვ ჭრელ მწყაზარი აწ იქმენ ღლაპი, როსცა გამეფდე უნც გვიყავ ყლაპი.
 თუმცა შევსცვალო ქვეყანა მძოვრად, სისხლს ვერ ავიღებ კუდისას წორად.

36) Архивъ св. Синода, № 360. ამ განყოფილებაში შემოსული
 ტნობები ჩვენ მოგვყავს სინოდის არხივიდან.

37) ამას ამბობს ანტონი კათალიკების სარწმუნოების მიღებაზედ, ე. ი. მე
 ცილი დამწამეს, ვითომც მე იმათი სარწმუნოება მიმეღოსო. მკითხველს შეუძ-
 ლიან შეაფანხმოს ეწლანდელი ამის სიტყვები იმასთან, რაც ამან სთქვა თავის
 თხოვნაში თემურჩაზ მეფესთან, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ ზევით. ანტონის
 მიმართულებაზედ აქ ხანად საკმაო იქმნება შევნიშნოთ, რომ ეს თავის მოქმე-
 დებაში და წერილებშიაუ ხელიმღვანველობს კანონით: ამიზანიო ამართლებს
 საშუალებებს. ა ეს არის, ჩვენის აზრით, ერთი მიზეზთაგანი, რომ ანტონი
 ხშირად ეწინააღმდეგება თავისგანვე სხვა დროს და გარემოებაში ნათქვამს და
 დაწერილს.

თავან ამან მისცა ერთი სინოდს და მეორე იმპერატრიცას 30 აპრილს 1757 წ. ეს ვრცელად იხსენიებს თავის რუსეთში წამოსვლის მიზეზებს, რომლებშიაც ცდილობს თავის თავი უდანაშაულოდ გამოიყვანოს²⁸⁾. სინოდმა შეკრიბა ანტონის შესახებ ცნობები და პოლსას თავისი განხილვა წაადგინა იმპერატრიცის ელასაბედის განსახილველად. ხოლო ამ უკანასკნელმა თავის პეტერბოგში მეოფობის დროს 1 აგვისტოს 1757 წ. სიტყვიერად ბრძანა: „მთავარ-ეპისკოპოსს ანტონს, რომელიც მოვიდა საქართველოდამ რუსეთს მიეცეს ეპარქია მოსკოვის ახლო მდებარე.“ ამ განკარგულების ძალით ანტონს მისცეს მთავარ-ეპისკოპოსობის ადგილი ქ. ვლადიმირში 1 დეკემბერს 1757 წ. ამასთან გადმოიყვანეს ქ. სკიაჟკიდან რუსულს ენაში და საქმეებში დასახმარებლად ქართველთაგანი მღვდელი

²⁸⁾ ბერს მოხუცებულს და ახალ-გაზდა ქართველთაგანს ეცოდინება გარდამოცემით ვრცელად მოკლედ მოთხრობა იმაზედ, თუ რისთვის ჩამოართვეს ანტონს ქათალიკოზობა. თუ ლათინთ სარწმუნოების მიღების საბუთით, მაშინ რა ჰქონდა სახეში ანტონს, რომ უარ-ჰყო მართლ-მადიდებლობა და მიიღო კათოლიკობა? არ შეიძლება თანამედროვეთ არა იცოდნენ რა ამ კითხვების შესახებ, თუ გინდ ზღაპრული მოთხრობა. ამისთანა მოთხრობებს, თუ კი იქნის ვინმე რაიმე ამ გვარი, დიდი მნიშვნელობა ექმნებათ მისთვის, რომ შევტყუოთ ნამდვილი მიზეზი აღნიშნულის ქათალიკოზის მოქმედებისა და ამის დროს ხასიეთი. ზოგთ-უნდათ დაინახონ ამაში საშუალება, რომელსაც ჰხმარობდა ანტონი თავის პოლიტიკური მიზნის აღსასრულებლად. ამისთანა ფიქრის სინამდვილეს და სიყალბეს დავინახავთ, როდესაც შევათანებთ სხვა და სხვა მოწინააღმდეგეთ აზრებს და ცნობებს ამ კითხვის შესახებ, თუ რომ გამოჩნდებიან ვინმე მსურველნი გამოაცხადონ თავიანთი ცნობები და, თუ აქვს ვისმე ამის შესახებ წერილები ჰქმარიტების აღსადგენელად. ამ კითხვის შესახებ თვით აკ. ბროსსეც საზოგადო აზრის მეტს ვერას გვეუბნება: „La vraie cause de son renvoi n'est exprimée nulle part, et tout ce que l'on peut conjecturer, c'est qu'il avait perdu les bonnes grâces du roi pour des motifs que les historiens n'ont pas fait connaître,“ Hist. mod. de la Géor. p. rt. II. livr. 2. p. 234.

გიორგი დაკიდოვი, ვითომც მთარგმნელის ანუ შოენის თანამდგომ-
 ბასედ. ვლადიმირში ყოფნის დროს ანტონი უსაქმოდ არა ყოფილა;
 მოცდილ დროს ის სწერავდა თარგმანებს სხვა და სხვა წიგნებისს
 ქართულს ენასედ. აი რასა სწერს ანტონი თავის ამ დროს შრომა-
 ზედ: „პირველად გარდამოღება— ვჭყავ 9) საწელიწადოისა თთვეთა
 წიგნისა³⁹⁾ უნაკლულად, ვითარ იგი აქეს ყე (ქიზიურნი ვილო)
 ეკვლესიასა როსნიისასა გასწორებულნი ბერძნულსა ზედა, და მერმე 10)
 სამ-საგალობელი დიდისა ხუთშაბათისა სერობასა ზედა, რომე-
 ლი არა სდა იპოვებოდა ქართულსა ზედა ხმასა, და კვალად 11) კა-
 ნონი დიდისა შაბათისა მეექვსემდე გალობად, რომელი არს
 ქმნილი მარკოზის ვისმე. იდრუბტის ეპისკოპოსისა, რომელი არა
 სდა იპოვების ხენ შორის და არცაღა მიხილავს, და 12) კანონისა
 მისეე ოთხნი გალობანი მეექვსით გალობით, ვიდრე ბოლოდმდე,
 ქმნილი უფლისა გოზმასა, რომელიცა იყო ტრიოდის შინა ჩვენსა
 შეუხებლად ვიპყარ ანჯის თანა თარგმნილისა დამჯებულმან მისმან,
 და 13) მერმელა წიგნი ესე პარაკლიტიკოს, რომელი არს ნუგე-
 შინისცემითი⁴⁰⁾. ამანვე გადმოთარგმნა 14) ტიბიკონი⁴¹⁾ და ესამარ-

39) ანტონის თხზულებების და თარგმანების რიცხვი ჩვენ მოგვყავს გა-
 ნუსევეცელად, თუმცა თვით წიგნებს ვიხსენიებთ სხვა და სხვა ადგილას. ნაჩ-
 ვენები «საწელიწლო თთვეთა წიგნი» უნდა იყოს «სამ თთვენი», რომელიც
 დაიბეჭდა თბილისში 1871 წ., და რომელშიაც ანტონმა დაბეჭდა თავისი
 აზრი უკანონოდ დღესასწაულობაზედ ქართველთ ეკვლესიისაგან წმიდა გიორ-
 გის დღესასწაულისა 10 ნოემბერს. Опис. ил. Тифл. II. loc. 1866 г. стр.
 80.

40) პარაკლიტიკოს, დაბეჭდილი თბილისში 1772 წ. ა მარტს. ყველა
 ნაჩვენებს მუხლში მოყვანილი წიგნები გადმოთარგმნა ანტონმა 1760 წლამ-
 დის.

41) წინა-სიკვებათა მეორე ანტონის გრამმატიკისა Hist. mod. de la
 Géor. II, livr. 2. p. 237.

თა 15) სადღესასწაულო⁴²⁾ დასწერა 16) მიწყალეს თარგმანი⁴³⁾ კაღდ-
მოიღო 17) ახალი ფილოსოფია სრული⁴⁴⁾ ბაუმეისტრისა, 18) ფი-
ლოსოფია საზღვართა⁴⁵⁾, ამის იუილასოფიისა აქქონისა მიერ
ქმნილი 19) ფიზიკაი თეორეტიკები⁴⁶⁾ სხვისა და სხვისა აქქონ-
ისა ქმნილთაგან ვიწყო შეკრებად, დაღათუ ჯერეთ აკლს თარგმანებაი,

42) წინა-სიტყვაობა სადღესასწაულოსი, რომელიც დაიბეჭდა პირველად ქ.
მოსკოვში 1805 წ.

43) ეს მიწყალეს თარგმანი დასწერა ანკონმა 1760 წ.-დის. ამაზედ ნამოძღვრა-
ლი ზაქარია გაბაშვილი სწერს, რომ ეს წიგნი როსსიით ქართლში ქართველთ
მეფის თეიმურაზისათვის გამოეგზავნა ანკონს. » Дело Арх. св. Сиб. 1768 г.
№ 242. თვით ეს ზელო-ნაწერი სრული ჩვენ არსად შეგვხვედრობ. აღნიშ-
ნულს სინოდის არხივის არხივში არის მხოლოდ ამოღებული ნაკუწები ამ
ხელთ-ნაწერისაგან და არა ანაწილი ამა წიგნისა, როგორცა სწერს პ.
იოსელიანი (წყობ. სიტყვ. გვ. XII. აი ნამოძღვრალის ზაქარია გაბაშვილის
სიტყვები ამ წიგნის შესახებ (მკითხველსა უნდა ახსოვდეს კავშირი ანკონსა
და ზაქარია გაბაშვილის შუა): ანკონ კათალიკოსის მიერ ვლადიმირს გა-
კეთებულის წიგნისაგან მიწყალეს თარგმანება რომ დაარქვა». იმ წიგნიდამ გა-
მოღებული შემოკლებით აწ საქართველოდამ (ზაქარია ამ დროს რუსეთში
იყო) და აწ თქვენს ყოვლად უზადოს სიწმიდისა წინაშე მოგვირთმევია... თვი-
თონ ის მიწყალეს თარგმანი დავითნზე ბევრიუ უდიდესია და თვით ზოლომდი
წვალების ღვარძლით სავსე არის, რომელსაც თქვენი უგნებლობის (ჩაში აღ-
სრული გონება უმჯობესად დახედავს» Дело св. Сиб. 1868 г. № 292.
Ушс. древн. Тифл. 57—59.

44) ეს წიგნი არის სამეცნიერო აკადემიის საწიგნეში № 172. შმავე სა-
წიგნის კატალოგში არის ნაჩვენები: ლოღიკა, მეტაფიზიკა და ზნეობითი ფი-
ლოსოფია, ბაუმეისტრისა ანკონისაგან თარგმნილი. № № 169, 170, 171.

45) ამ წიგნის წინა-სიტყვაობა არის დაბეჭდილი წყობილ-სიტყვაობაში,
რომელიც გამოსცა პლ. იოსელიანმა 1853 წ. გვ. 294. მუხლი 816—818.

46) კატალ. ქათალ. წიგნ. N 253 ფიზიკა ვოლფიოზისა და სხვათა ფი-
ლოსოფოსთათვის ფიგურებით, ანკონი ქათალიკოსისაგან თარგმნილი რუსუ-
ლიდამ » სამეცნიერო აკადემ. საწიგ. კატალ. N 135.

შაკრამ არ წარეკვეთო სხეასა, რათა ღაჭაკლდებიცა სრულყოფისა-
გან მისისა, 20) ისტორია აღექსანდრე დიდისა, ქმნილი გურციოსი-
საგან გარდმოვსთარგმნე⁴⁷⁾ თვით ეპქმენ სხოლიონნი ადგილ ცნო-
ბისათვის ახლისა ამის ფილოსოფიისა და ფიზიკისა“. ⁴⁸⁾ ამ წიგნების
წერკა და თარგმნა ანტონმა კათავა 1762 წლამდის, ხოლო ამ წლის
8-ს იანვარს გარდაიცვალა პეტერბურგში ქართლის მეფე თე-
იმურაზ II ⁴⁹⁾, რომლის ტახტიც დაიჭირა ამისმა შვილმა კახეთის
მეფემ ირაკლი II. ეს უკანასკნელი 1756 წ. 26 ნოემბერსვე სწერდა
ქათალიკოზს ანტონს: „მე უშენოდ ვერ ვიქმნები, თორემ ბო-
ლოს გამოჩნდება; მე უშენოდ არა მიაშება რა“...⁵⁰⁾ ესლ⁵
1762 წ., როდესაც მან დაიჭირა ორივე სამეფო, ასრულებს თავის
სიტყვებს და იწვევს ანტონს რუსეთიდან საქართველოში მისს
უწინდელსავე საქათალიკოზო კათედრასკედ. ერთს სინოდის საქმეში
კვითხულობთ, რომ ანტონი 1762 წ., თანხმად იმის თხოვნისა, უმა-

47) ამ ეგვ. მეორე ნაწილი საშეც. აკად. საწიგნ. N 45, ხოლო პირველი
დ. ჩუბინოვის წიგნთ საცავში. ეს ორი ნაწილი ყოფილა წინათ ერთ წიგნად
შეკრული, ხოლო შემდეგ არის შუაზედ გაყოფილი; ბოლოს გვერდი პირვე-
ლის ნაწილისა ზღვევ არის ეხლაც მეორე ნაწილის თავში. ანტონ. წიგნ.
კატალ. N 141.

48) წინა-სიტყ. წიგნ. დასასაბანი ფილოსოფიისა ახლისანი • ბაუმეისტრი-
სა, დაწერილი 1762 წლამდინ.

49) ცნობები თეიმურაზ II მისვლაზე რუსეთს და მის სიკვდილზედ, ჩვენ
მატიანებს გარდა, მხარყანა 1853 წ. N N 52, 91, 93, 94, 1854 წ.
N N 4, 19; Каюери-Дурцереи журналы 1761 г. стр. 48, 54, 64, 66,
87, 94, 132, 146.

50) Арх. св. Синод., дѣло 1756 г. N 350. ამ საქმეში არის თვით ირაკ-
ლის ხელით დაწერილი წიგნი, რომლიდგანაც ჩვენ თვითონ გადმოვიღეთ პი-
რი. თავის დროზედ ამასაც სრულებით დაუბეჭდავთ. ნაკუწი ამ წერილიდგან
იხილეთ Пут. запис. по Кахетин, Пл. Юссел., стр. 108.

აღესის უქაზით დათხოვნილ იქმნა ვლადიმირის ეპარქიადგან და გემგზავრა თავისა სამშობლოსკენ სამღვდელთა და საკრო პირებით; საგზაო ფული მიეცა 1500 მან.⁵¹⁾

V

ანტონი ახლად საკათალიკოზო კათედრაზედ (1762—1788) სამშობლოში დაბრუნების შემდეგ⁵²⁾ ანტონმა გასსნა ორი სემინა.

51) Дело св. Синод. 1768 г. N 292 წინააღმდეგობა ამ კითხვის შესახებ: წყობ. სოცევ. XII Hist. de la Geor., II 2 p. 399. 531. О грам., ист. груз. яз. Ал. Цагар. стр. 3. Истор. груз. иерарх. 1826 г. стр. 19; Крат. Истор. груз. церк. II. Юс. стр. 133. Истор. Изобр. Грузин 1802 г. Спб. стр. 75. Ист. Грузин. иерарх., Москва 1816 г. стр. 19. ქართლ. ქრისტომ, 1 გამოც. 1846 წ. გვ. VII. Акты Кав. Ар. Ком. т. 1. стр. 74. Описан. древ. Тифл., II. Юс. стр. 92.

52) Опис. древн. Тифл. стр. 91. ა. ცაგარელი ფიქრობს, ვითომც ეს ყოფილიყოს ანტონის რუსეთში წასვლამდის, სახელდობრ 1756-წლამდე ზენჯერ კადევ არ ვიცით, თუ რა საფუძვლით აწერს ეს გვაში ამ დროს «открытіе школы въ большемъ (?) количествѣ и учрежденіе Тифлисской Семинаріи» იმედა, რომ უფალი ა. ცაგარელი ამ შემთხვევაში არ დაგვაკმაყოფილებს მხოლოდ ლიტონის სიტყვით, არამედ გვიჩვენებს ჯეროვანს საფუძველს; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიტყვები უსაფუძვლო სიტყვებად დარჩება. О грам. лит. грузин. языка А. Цагарели, стр. 2. თბილისის სემინარიის ზედამხედ. და მასწავლ. თვით ანტონი. ქართ. ქრისტომ. 1846 წ. გვ. VIII, «ოდეს ვასწავებდ მოწაფეთა გრამმატიკასა» იხ. ახალი გრამმ. წინა-სიტყვ. გაიოზი-Обозрѣніе ист. грузин. города Царевча Вахтанга 1814 г. Спб. стр. 72. და დაკანოზი ოანნე მაქმე. იქ. თელავის სემინარიაში: ფილიპე კაიჯ მაზაშვილი, ქართ. ქრისტ. 1846 წ. გვ. VIII. გაიოზი ცოცა ხანს Кр. Ист. груз. церк. стр. 135. დავით ალექსის-ძე. Акты К. Ар. К. т. 1. стр. 303. დავით ალექსი ძე ირაკლისა და გიორგის დროს Оп. др. Тифл. стр. 48—49. გაიოზი ეპის. და ვიკარი. Астрах. 1795 г. древ. Тифл. стр. 147. Гійі еш. Пензенскіе Акты, т. II, стр. 199, 1061, 1066. Астра. Арх. т. III, стр. 75. т. IV. стр. 61. 179, 180. Истор. Изобр. Грузин, 1802 г. стр. 75. Ист. груз. иерар. 1826 г. стр. 20.

რია, ერთი თბილისში და მეორე თელავში. აქ ასწავლიდნენ: გრამმატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთის მეტეფიკებს, ხოლო ხაჩვზი ეძლეოდათ მეფე ირაკლი II-გან⁵³⁾. რადგან ამ სემინარიებში ანაჰქონდათ წიგნები არც მასწავლებელთ და არც მოსწავლეთ, ამისათვის ანტონმა მიიღო: ბევრი შრომა ამათს შედგენასთვის. ამ დროს მისს აღიტერატურულს შრომას, ჩამდუნათაც ვიციო ვერ ხნობით, ეგუოვნინს შემდგომი წიგნები: 21) რიტორიკა,⁵⁴⁾ მიხითარისა 1764 წ., 22) კათილორია სიმეტნე,⁵⁵⁾ დასჯილი ანტონისაგან 1767 წ., 23) კატეხიზმო 1767 წ.,⁵⁶⁾ 24) სიმეტნე ანუ მოკლე ყრმათათვის შედგენილი გრამმატიკა⁵⁷⁾ დაწერილა 1764 წ.; 25) ახალი გრამმატიკა

⁵³⁾ АНТИ КАВ. Арх. Ком. т. 1. стр. 530. Hist. de la Géor. II livr. 2. p. 237.

⁵⁴⁾ ეს წელი (1764) იმ ეგზემპლ., რომელიც არის დ. ჩუბინოვის საწიგნეში. წინათ უთარგმნია ეს დონსოეოსს ნეკრესის ეპისკოპოსს. კავკალ. სამეცნ. აკად. N 94. ანტ. წიგნებ. კავ. N 137.

⁵⁵⁾ სამეცნ. აკად. წიგნთა სიაში N 177. წინა-სიტყვაობა ახლად ქმნილისა კატელორიისა ჩვენისა, ე. ი. ანტონისა არის დაბეჭდილი წყობილ-სიტვ. გვ. 295. აღნიშნული წელი უზის იმ ეგზემპ., რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით დ. ჩუბინოვის საწიგნიდან.

აიპრობს თვის შორის, წიგნი წინა-მდებარე,

შეევანილებას, ჩემ მიერსა ქვე-თქმულთად,

ხოლო სამ-გვართა ფილოსოფიასათა

კატელორიათა, ახლად ქმნილთა ჩემ მიერ,

და პორფირითთა, ნამეორებთა ჩემგან... წყობ. მ.

კვალად სიმეტნეს, ჰსჯულითურთ ჩემით თქმულთა. მ. 822-

) ამის ეგზემპლ. სამეცნ. აკადემ. საწიგნეში, სია N 133. ბოდბის მონასტრის საწიგნეში 1769 წ. Пут. записк. по Кав. стр. 131—141. წინა-სიტყვაობა წიგნისა კატეხიზისისა არის დაბეჭდილი წყობ.-სიტყვ. გვ. 297-მ. 828—832.

ფეჰქმენ კატეხიზმოს სარგებლად თქვენდა, ძმანო მ. 830.

⁵⁷⁾ ეს გრამმატ. დაწერ. 1764 წ. როგორცა სწერს პ. იოსელიანი, არის უუამთის მონასტრის საწიგნეში. Путев. записк. по Кав. стр. 93—99. Hist. mod. de la Géor. II. 2. p. 237. ანტონ. წიგნ. კავ. N 173, ამველი გრამმატიკა, თარგმნილი სომხურიდან ანტონისგან, „სიმეტნე ამავ ანტონ. თარგმნილი სომხიდან“ Кав. Сидл. Ак. Н. N 91.

1767 წ.,⁵⁸⁾ 26) მარტირიკა 1769 წლ.⁵⁹⁾; 27) ღვთის-მეტყველება⁶⁰⁾ მოთხნაწილადი 1779 წ. 28) წყობილ-სიტყვაობა⁶¹⁾ 29) საქართველო-ისა მეფეთა შთამომავლობისათვის⁶²⁾, 30) კიბე ცად მყვანი⁶³⁾ იოანე

58) Библиот. Ал. Н. N 88. ჩვენი ეგზემპლ., რომელიც ეჭუთვ. დ. ჩუბინოვს, არის გადაწერილი 27 თებერვ. 1805 წ. მღვდლის დავითისაგან (პაპა დ. ჩუბინოვისა) ახალი გრამმატ. შესახებ O gram. лит., Игар. стр, 15.

59) სათაური ჩვენი წიგნისა; „სადიდებელად... მარტირიკად შესხმა და ისტორია ქრისტესთვის ვნებულთა მოწამეთა ქართველთა და სხვათა, დროსა... ირაკლი II..., ხოლო მამათ-მთავრობასა თავისისავე. წელსა დასაბამიდგან 7278, ქრ. შობიდგან 1769, თვესა მე-II-სა, 19 რიცხვსა.“ 17 სიტყვა პატივად ქართველთა წმიდათა, ხოლო სამი სომეხთა, სრულებით ოცი სიტყვა. გადაწერილია მღვდლის დავითისაგან. (პაპა დ. ჩუბინოვისა) 8 იანვარს 1799 წ. ამის ეგზემპლ. ბოდბის მონასტრის საწიგნეში ИУДЕР. ЗАМЪДЪ ПО ИТАЛ. 131—141.

60) ამ წიგნის ჩოხივე მოზდილი ნაწილები და ჩუბინოვის საწიგნეში მეოთხე ნაწილის ბოლოს არის აძინაქრ-სიტყვაობა ალფავიჯსა ზედა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიმანდრიტისა რეკტორისა. შემდეგ ამისა ეს ბოლოს სიტყვები: «აღწერილი ყოვლად უნდოესისა ტრიტილესაგან მღვდელ-მონაზონისა. სრულებით სრულ-იქმნა ნოემბერს, 26. წელსა 178. (ესეა ნამდვილში, უნდა იყოს 1780 წ.). ვიწყე სეკდემბერს 20. 1799.»

61) გამოიცა პ. იოსელიანისაგან 1853 წ. წინა-სიტყვაობით. პეტერბ. სა-მეცნიერო აკად. საწიგნეში არის ორი წიგნი N 21. ამისთანავე წიგნი არის პეტერბ. იმპერატ. საჯარო საწიგნეში. Cat. l. des manusc... 1852, p. 573—578. აქვე: ა) არჩილიანი, ბ) დაუჭდომელი, გ) ყარამანიანი, დ) სობრძენ-სი(რუე), ე) კლიტე და ვ) სულიერი სწავლანი.

62) ეს რვეული შესდგება 16 სიტყვისაგან: ამის წარწერა? ამის მალაქსველელობას გენერალ ივან. ივოვიჩს ყიზილარის ჭამენდატს ჭრაუნდოდორტს მე უღირსი ანტონი კათოლიკოსი სრულიად საქართველოსა მოვანსენებ მათგან ბრძანებულისამებრ თხავისა, რომელიცა დალათუ მრავალ განსაცდელ-შემთხვევისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართველოსათანი თვითთა თვითოდ აღარ მანსოვან, მაგრამ სახელოვანთა მეფეთა... ამის დაწერას ანტონისაგან ჩვენ ვფიქრობთ 1756—1760 წ. სამეცნ. აკად. წიგნთა სია № 12. ჩვენი დედანი ეჭუთვის დ. ჩუბინოვს.

სინელისა. 31) ქებითი სიტყვა პატრივად ღირსისა შიო მღვიმელისა⁶⁴⁾ 32) დასდებელნი⁶⁵⁾ საკალაშელნი პატრივად რომელთამე ქართველთა ეკლესიის წმიდათა, 33) პროლოლი⁶⁶⁾ პატრივად წმიდათა, 34) სვე-

63) ჩვენ ხელთ-ნაწერიში, რომელიც ეკუთვნის დ. ჩუბინოვს, ვკითხულობთ „სხოლასტიკოსმან, იოანე სინელმან, კიბე (ჩად მუჟანე, ჰქმნა სამ-ათ-აღსავალი, ამათნი თავნი, ათ სტინთა შინა თითო, აკროსტინით და, გარდა მესამისათვის, ანტონიმ ვკლექსენ. უქმობის დასახსნელად.“

წყობ.-სიტყვ. გვ. 234, 235.

64) Путев. запис. по Кахет. II. Юс. стр. 114.

65) ქართული სადღესასწა. დაბეჭდილი მოსკოვს 1805 წ.

66) ამ წიგნის წინა-სიტყვაობაში, რომელიც არის შედგენილი ტრიფილესგან, ანტონი ქათალიკოზის მოწაფისა, დიაკონ მონაზონისა, ვკითხულობთ, რომ იოანე ფილოსოფოსმან ჭირჭიმელმა (პეტრიწი) შეადგინა პროლოგი: სეკდენბრისა, ოკდომბრისა, ნოემბრისა, დეკემბრისა და იანვრისა, ხოლო ამის შემდგომად მამათ-მთავარმა არსენი ბულმაისამ: ფებერვლისა, მარტისა,

«შემდგომად ორთა მათ, ხელ ჰყო სამ თვეთ სრულება.

მამათ მთავარმან, მეფის ძემან ანტონი,

მებრ უძიროსის, სიბრძნისა ქვე მდებარმან,

ვინ დავითის ტომ, ითვისა ისაკუთრა,

მან სრულ-ჰქმნა წუნის, ივლისი, აგვისტო.

* * *

თთვესა მეორეს, სეკდემბრიდგან ოკდომბერს

რიცხვსა მერვესა დღესა ოთხსა რიცხვედსა,

იწყო ანტონიმ სამთ თვეთ თხზვა სტინოვნებრად,

მასვე ოკდომბერს რიცხვსა მეთხუთმეტსა.

საწინივე სრულ-ჰყუნა, სადიდებ ყოფით მიზეზის »

წყობ.-სიტყვ. გვ. 213, 214. ამას მკოდნეს პლ. იოსელიანს, ვგონებ, აღარა ჰქონდა საფუძველი ეთქვა ანტონზედ, რომ ამან შეადგინა პროლოგი ოთხთა () თვეთა, ნაცვლად დაკარგულისა ქმნილისა იოანე პეტრიწისაგანა წყობ.-სიტყვ. გვ. 211. ჩვენი ხელთ ნაწერი ეკუთვნის დ. ჩუბინოვს.

კალი⁶⁷⁾, 35) ისტორია ეფესოს კრებისა⁶⁸⁾, 36) ერგასეულნი⁶⁹⁾, 37) წიგნი «აღსარებისა»⁷⁰⁾ 38) აპოლოლია⁷¹⁾, 39) «ქადაგებანი⁷²⁾ მრავ-

67) ანკ. ქათალ. წიგნთა სია N 232. სპეკალი, ქმნილი ანტონ ქათალი-კოზისგან.» ეკუთვნის დ. ჩუბინოვს. წუობ.-სიტყვ. წინა-სიტყვ. გვ. XIII.

68) ანკონის ქათ. წიგნთა სია N 201. «სომხურიდამ თარგმნილი ანკონის ქათ-გან ეფესოს კრების წიგნი, მაღალი ცნობა და დიდი წიგნი.»

69) ამ სათაურით ჩვენ ვნახეთ ლექსები ზემორე აღნიშნულის ჩვენმიერ «მზამეტყველების» ბოლოს. ეს ლექსი შესდგება, როგორც თვის სათაურიც გვაჩვენებს, 50 ხუთ-ტაეპოვან მუხლთაგან, მე-50 მუხლი ამ ლექსისა აი რას გვაცნობებს:

«ეკკლესიასა ბიეცა მამათაგან,

მე ანკონისგან პირის-პირად ესენი

დალექსულ იქმნეს გვარსა ზედა დასდებლის

ხუთ-ტაეპესა გალობად ხმათა ზედა,

ღვთის-მეტყველურად რიტხვით ერგასეულნი» (ე. ი. 50).

ლექსნი „ერთ-ასეულნი“ წუობ.-სიტყვ. მ. 100.

70) ამ წიგნს იხსენიებს პ. იოსელიანი წუობილ-სიტყე, შესავალში გვ. XIII, რომლის საფუძველი ჩვენ ჯერ არ ვიცით. თუ იმას ჰქონდა სახეში ის სიმელოლ სარწმუნოებისა, ანუ უკეთ მრწამსი, რომელიც ანკონმა თავის თხოვნასთან წარუდგინა იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასულს, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეს არ არის შედგენილი მისგან. არამედ მსოფლიო კრებისაგან, ხოლო რაც შეეხება იმ ორიოდე სიტყვეს, რომლებიც მიაწერა იმან ამ მრწამსის ბოლოში (წუობ.-სიტყვ. გვ. X—XI), ამით არ შეიძლება უწოდოთ სახელი „წიგნი.“ რას გვეტყვიან ამაზედ მკითხველნი, სიამოვნებით მოვისმენთ.

71) ამ წიგნს არაუინ იხსენიებს ანკონის წერილების განხილვაში. ზაქარია გაბაშვილი—ნამოძღვრალი ამ რვეულზედ ამბობს, რომ როდესაც იყო სამღვდელთო კრება გასაღწევად ამბოხებისა ზაქარია გაბაშვილისა და ანკონის შუა, ამ უკანასკნელმა თავის მომხრეებით „დიდის შეჩვენებით შემოგვფიცეს წმიდის სამების სახელზედ, რომ იმ მიწყალეს დარგმანსა (შენიშვ. 43) და აპოლოლიას ავიღებთო, აღარ ვახსენებთო, ორსავ თქვენ მოგცემთო, გინდა დაწვით, რაც გინდა უყავითო... ჩვენ შევიყარენით ერთად, ვირწმუნეთ ის საშინელი ფიცი, იმით ეს აპოლოლია მოგვცეს ხელ-მოწერილი ტეტებლში დაწვით.“ ამ აპოლოლიის ჰირმა ვერ მოაღწივა ჩვენამდინ? მოყვანილი ხაუჭი არის ამოღებული ტინოლის საქმიდგან 176 წ. N

ვალნი», 40) კერძობითი ანტონის წერილები⁷³⁾, 41) განმარტება⁷⁴⁾ ეპისტოლისა რომაელთა მიმართ, 42) კლდე სარწმუნოებისა,⁷⁵⁾

72) ამას სწერს პლ. იოსელიანი ერთს ადგილს და სვბაგანაც იმეორებს: „ანტონი აღსწერდა ქადაგებათ.“ წუხო, სიცუე. გვ. XII. VII. ზაქარია ნანამოდვრალიც თავის არხაში სწერს ამის შესახებ შემდგომს: „ანტონი კათალიკოსმა ამბიონზე მრავალჯერ იქადაგა და შეაჩვენა: ვინც იმათ (ე. ი. ზაქარია ნამოდვრალს და მის მომხრეებს) მოწყალება უყოს, ჩემგან შეკრული იყოსო; ნურცა ვინ ეკალესიაში შეგუშვებთო...“ სინოდ. საქმე 1768 N 292. აქედგან სჩანს, რომ ანტონი სხვათა წერილებთან დაგვიტოვებდა ქადაგებებსაც, რომელშიაც, სხვათა შორის, იქმნება მიტყეული ყურადღება თანამედროვე საზოგადოების ნაკლებუვანებაზედაც. ჩვენ არსად შეგვხვდრია ანტონის ქადაგებები; ზევით (შენიშვნა 25) ნაჩვენებს გარდა, თუმცა ისინი საქირონი არიან როგორც თვით ანტონის, ეგრეთვე მისის დროების დაფასებისათვის. მაგრამ ძველი ნაწერების გამოჩენა ჩვენში ესე ადვილი არ განლავთ. ვისაც ჰქონდეს ამ-გვარი წერილები ანტონისა, ესთხოვთ უმორჩილესად, თუ ჩვენ ვერ გადმოგვცემს, უნდობელობის გამო, „ივერიით“ მაინც გვატნობოს მისი არსებობა და შინაარსი.

73) კერძო წერილები ანტონისა არსად შეგვხვდრია ერთის დფიციალურის გარდა, რომელიც არის თვით ანტონის ხელით დაწერილი 20 ოკტომბერს 1767 წ. სინოდ. საქ. 1768 წ. N 292. ფრანტუზულად გადათარგმნილი ორი წერილი 25 ივნისს 1745 წ, და 1782 წ. აპრილის 6, თბილისი Hist. de la Géor. II, 2 p. 429 431. ირაკლი მეორე სწერს ანტონს, სხვათა შორის: „ეზლარიდამ თქვენი ორი წიგნი მომივიდა ჩემი ორი წიგნი რომ მოგრომეოდათ იმისი პასუხი“... სინოდ. საქმ. 1756 წ. N 350. ზოგიერთნი დაგვირდნენ ანტონის კერძო წერილებს, რომელთაგანაც ველით აღთქმის აღსრულებას. განა სხვას არავის ექმნება ანტონის წერილები და თხულებები ჩვენგან მოხსენებულთ გარდა? ვისაც აქვს ამ-გვარი ნაწერები, ესთხოვთ გამოაცხადოს ჩვენს გაზეთებში.

74) Истор. изобр. Грузин 1802 г. стр. 76. წიგნთა სიებში და ხელნაწერებში ეს წიგნი ჩვენ არსად შეგვხვდრია, თუმცა ამას ზოგიერთთა აკუთნებენ ანტონს. Кр. Ист. груз. цер. стр. 134. ქართ. ქრისტ. 1846 წ. გვ. VIII. Ист. груз. іерар. 1826. стр. 20. ზოგი აწერს ანტონს ფსალმუნთ განმარტებასაც. Энциклопед. Словарь, 1862 г. стр. 563.

სტეფანე იაკობსკისა, 43) სასულიერო შურდული, ნიჟეგოროდის ეპისკოპ. პიტაჩიძისა⁷⁶⁾.

თუ ესა თვალს გადავაყვებით ანტონის ხელით დაწერილს შრომებს, მივიღებთ სახეში იმის შეცადინებას განსასწორებლად ანუ განმსწკნებლად სხვა და სხვ ზეგნის ეკკლესიის ნაკლულიდანებისა^{76*)}, წამოგონდგენით ზეგნი სამშობლოს მდგომარეობას, იმის დროს და მკაცრად ნაირ დახრკობებს, რომლებიც იმას ეოკელს ნაბიჯად ხედუბოდნენ, გგონებთ, ბევრი საუბარი საჭირო აღარ იყოს იმაზე, თუ მომეტებულად რომელი მხარე იხატება ზეგნს თვალ წინ იმის ცხოვრებიდან — საძაგებელი თუ საქები? ვხედავთ, რომ იმას თავის სიცოცხლე არ უტარებია მხოლოდ უსარგებლო სეინონასში და თანამედროვე ღვინებაში. ამით მანც ზეგნი არ გვიანდა ვსთქვით ვითომც ანტონს არ ჰქონდაც კაცური კავშირი სასოციალურებასთან ეოიილ და იყოს დასუელი თავის საბერო ოთანში. ამ მხრით თვით ანტონი გვიწერს თავის სასაეთს: „ოთუმცა მე ვიყავ ბერი, ამბობს ეს, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მუდამ ცხოვრობს მონასტერში“⁷⁷⁾. ზეგნი თითქმის არა ვვაქვს ცნობები ამ დროს იმის ცხოვრებიდან, რომლებშიაც იყოს გამოხატული ანტონის სუსტი მხარე, თუმცა შეიძლება იცოდეს ვინმე რამე ამ გვარი სხვა და სხვა ადგილს განთუ-

75) ზოგი სწერს ვითომ ეს წიგნი იყოს მხოლოდ გადათარგმნული ანტონის ბრძანებით. Ист. изобр. Груз. 1802 г. стр. 76. Ист' груз. іер. стр. 20. ქართ. ქრისტ. 1816 წ. გვ. VIII. ზოგი ამის თარგმნას აწერს ანტონს კრ. Ист. гр церк. стр. 134. О грам. лит. груз. яз. А. Цагар. стр. 3. Энцикл. Слов. стр. 563. წყობ.-სიტყვ. стр. XIV.

76) კრ. Ист. груз. пер. 1843 г. стр. 134.

76*) ანტონმა საეკლესიო გასაშვინებლად, რომელიც მის დროს იყო დატყვევებული, გამოიწვივა იმერეთიდან მგალობლები და მით ცდილობდა აღედგინა საეკლესიო გალობა. Оис. др. Тифл. стр. 166. 167. 189. 144. Оисе, Марты, Монаст. 1847 г. стр. 27.

77) სინოდის საქმე 1756 წ. № 350.

სიღის ხელთნაწერებიდგან. გვაქვს მხოლოდ საინტერესო დოკუმენტები, რომლებიდანაც ვხედავთ ზოგიერთს ანტონის სუსტს მხატვებს შემდეგ ამის დაბრუნებისა რუსეთიდან. ჩვენ გვაქვს სახეში ანტონისა და ზაქარია გაბაშვილის (ნამოდვერალის) შუა მამხდარა საქმე. მძეხვი უთანხმოებისა ამას შორის იყო ანტონისგან შედგენილი „მოწყალეს თარგმანი“⁷⁸, რომელიც მოვიხსენიეთ ზევით. ეს წიგნი გავზავნა ანტონმა რუსეთიდან საქართველოში თეიმურაზ II დროსვე, მასწავლა 1760 წელს. ამას ადგილობრივმა სასულიერო ცენტრებმა დაინახა მართლ-მადიდებლობის წინააღმდეგი ადგილები, და ამის მძეხვით აღუკრძალა. მისი განგრძობა ხალხში. ამ აღკრძალვამ თითქმის პირველი ადგილი ეჭირა მეფეთ მოძღვრის ზაქარია გაბაშვილს. ეს დასაძლეს ანტონი დაბრუნდა სამშობლოში და მიიღო უწინდელივე ადგილი, რასაკვირველსა, უცდებოდ თვისის თხზულების განთავსებულს ამ გვარი დაკრძალვისგან. ამის წადილის მოწინააღმდეგედ გამოჩნდნენ იოსებ ქათალიკოზი, ზაქარია გაბაშვილი და სხვ. ბასი გათავდა მით, რომ ზაქარიას ჩამოართვეს მღვდელობა და გაისტუმრეს რუსეთს⁷⁹. ამით ანტონმა გადაუნდა მოწინააღმდეგეს სამაგერო სამსახური და წინააღმდეგ თვისის მოკვლეობისა, მიაგო ბოროტი ბოროტის წილ. უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთს იმ დროს არა ჰქონდა საქართველოსთვის და თვით ანტონისთვისაც მხოლოდ ცივილიზებული ხსიეთი, სადაც ჰგზავნიდნენ სასკელის ღირს პირებს, რომლის მაგალითები მრავალია იმ დროდგან ანტონისა მამინდელს კავშირს რუსეთთან ჰქონდა ეკლესიური და ხან პოლიტიკური ხასიათი. საქართველოს ქათალიკოზებთან ამან პირველად გამოიწერა მიწონი რუსეთიდან 1769 წ., რადგან კავშირი საბეჭდოთთან, როგორც ვიცით, კარგა ხნის მასშობილი იყო.⁷⁹ 1772 წ. მეფე ირაკლი II გამოგზავნა ანტონი და თავის შვილი ლე-

⁷⁸) იქვე 1768 წ. N 292.

⁷⁹) იქ. 1769 წ. N 297. Русс. арх. Тифл. стр. 188.

კანი თავის მაგიერ იმპერატრიცა ეკატერინასთან მადლობის გამო-
საცხადებლად იმასე, რაც შემწეობა მიიღო მისგან 1770—1772 წ.⁸⁰⁾
ჩვენ ვუიქრობთ, რომ ესლანდელსავე ანტონის რუსეთში შეყოფობას
ან შეიძლება არა ჰქონოდა შესაფერი გავლენა იმ მერვე მუხლის ჩარ-
თობასე, რომელსაც კვითხულობთ ირაკლისა და იმპერატრიცა ეკა-
ტერინეს ვეჭილების ხელშეკრულობაში 1783 წ. და რომლის ძალითაც
ქათალიკოზი ანტონი პირველად დანიშნა რუსეთის უწმ. სინოდის
წევრად⁸¹⁾. ესევე მუხლი გხდა იმის სათავედ, რომ საქართველს
ეკლესიას შემდეგში ცოტ-ცოტაობით მოაკლდა თვით-მდგომარეობა
და თავის კანონიერი წარმომადგენელი. ესრედ გაატარა ქათალიკოზმა
ანტონ I-მა თავის ცხოვრება საქართველს ეკლესიის, საზოგადოების
და მწერლობის სხვა რეზუტად. ბოლოს ამასაც, როგორც ვეველს, მო-
ჰკვეთა სიტყვების ფერსებები სიკვდილმა 1788 წ. 1 მარტს⁸²⁾ და
დაუტოვა ადგილი თვისს თანა-მოსახელს ანტონ II, უგანსგუნელ სა-
ქართველს ქათალიკოზს, ირაკლი II ძეს.

ნ. მთვარელიშვილი.

თუ კანონების წარმომადგენელი, თუ შექნიშნავს რაიმე კანონის წინააღმდეგს მოკლენას, მოკალა სასტიკი უურადღება მიაქციოს, და მოსპოს იგი და დამნაშავე დაასჯელებს. განა არ შეუძლიან ადმინისტრაციის თავის მზრდაში საქმე ისრე დააყენოს, რომ გლეხს ხაზინის ვალდებულება და მოკირტუმსიც რომ გერძო მოკალემ ის გამოართვას გლეხსა, რაც ეკუთვნის და არა ერთი ოცად, ანუ მთელი წლის მოსავალი!... შეითხველი იფიქრებს: იქნება ადმინისტრაციამ არ იცის ეს ამბებიო.— იცის, ბატონო, როგორ არ იცის, თორემ აი რა ილაპარაკა თვითონ ერთმა მათგანმა ბუღალტრედ: „№ სოფელში ვიყავი. სასამართლოში შევედი დასათვალიერებლად, სასამართლო ვაჭრებით იყო სავსე (მოსავლის და მოკრების დრო გახლავთ), მხოლოდ სამი-ოთხი გლეხი იყო მათშორის, ერთს ვაჭარს ვკითხე: რას აკეთებ აქა-მეთქი?— მან თამამად მიპასუხა: ღვინოები მაქვს დაბეჭდილი ჩემს ვალში ერთის გლეხისა.— ვინ დაბეჭდა და ვისის ბძანებით? კვლად ვკითხე მე.— მამასხლისმა ჩემის თხოვნით, დინჯად მიპასუხა ვაჭარმა.— ღისტი გაქვს სასამართლოდგან? ვკითხე მე.— არა! მიპასუხა გაბღინებულმა, — ვისა ქმართებს შენი ვალი? ვკითხე ჩემს მოზარდს.— აი, მაგ ვაჭარს, მიპასუხა ვაჭარმა... გლეხმა-ვანმა, ქსთქვა ადმინისტრაციის, მოხელემ: შემომჩვილა: სამი (მგონია) სავალზე შემართა და სამი (მგონია) ქვევრი დამიბეჭდეს, შენი ჭირიმი. რამდენი კეზევი, რომ დაგურჩო მანც და მეც რაც გნებავს ქქებით მეთქი, მაგრამ შემოცვიუნენ მაქანში და დაბეჭდეს, ესლა სულ-ერთიან დამძარბულა ღვინო და დამბეჭდავი— მოკალე ღვინოს აღარ იღებს — გაფუჭებულია, რად მინდა!...“ ეს გვიამბო ადმინისტრაციის მოხელემ და თუ ესა ქსთქვა ადმინისტრაციის შიგნითა, მაშასადამე ქსტოდნია რა ხდება და რა ოინებს სხადიან ვაჭრები სოფლებში. შეიძლება თვითთულად ყოველი ბოროტ-მოქმედება არ იცოდეს ადმინისტრაციამ, მაგრამ საზოგადოდ ხომ შეტყობილი აქვს ვაჭრების და მამასხლისების ოინები სოფლებში...

ერთი ამბავიც, რომელიც ამტკიცებს, თუ როგორ ბოროტ-
მოქმედობს ერთი მოხელეთაგანი, რომელიც არც პოლიციას და
არც სუდს არ ეკუთვნის. ერთი ტუსადი მუშაობდა სთხრიდა
მიწას ხეების ჩასარგავად, მე მივედი და კვითხე მიზეზი მისის
დამწუვდვისა. მან თავი გაიქნია და დაღონებით მითხრა: „რა ვიცი,
შენი ჭირივე №-ს მივედი და შევსჩივე — კენახს მართმევენ და
მრუშამდგომლე მეტქი. N-მა ათი თუმანი ქრთაში მთხოვა, აბა მე სა-
ცოდავი სად ვიშოვიდი და უარა ვუთხარი. ამაყედ განჩისდა №-ი
უბძანა მამასახლისსა და დამაჭერინა. ვარ ეგრე, არც ნახაღნიკმა იცის,
არც სუდიამ... მე პირ-დაღებული დავრჩი ამ ამბისაგან და გამოკბრუნ-
დი... აღმინისტრაცია თავს იმართლებს და იტყვის — ეს ჩემი საქმე
არ არისო...“

ამ ნაირად და ამ მდგომარეობაში გახლავსთ თელავში საქ-
მეები... ვგონებ, რომ ამ გვარი საქმეები ღირსნი არიან ეურად-
ღებისა... „უპატრონო ცხვარს შველი შესჭამსო,“ სწორედ ასე მოს-
დით თელავის დაბალს ხალხსა. აქაური გაჭრები თავის ნებაყედ იქ-
ცვიან, ტაქცია ფეხებზედ ჭვიდიათ შრატისვილებსა (ყასპების გვარია).
ჩემის ეურებით გავიგონე შრატისვილის შაქარასაგან, როდესაც ტაქ-
ციას აკრავდნენ: „თქვენი ტაქცია ნ.....ათო!!“ ისე გათამამებულ-
ნი არიან აქაურნი უასპები, რომ თუ უთხარით რამე ცაღლანძვევენ გი-
დეც-ჩემი ნებაა და ამ ფასადა ვყიდიო; ან კიდევ: თუ გინდ წაიღე,
თუნდ არა, აჭა შენი ფული! (და გადმოგიყრიან ფულსა)... რა უნდა
ჭქმნას სწულმა მსუადველმა? ცარეელი ხომ ვერ წამოგა და მხო-
ლოდ კისრის ნაჭერიც რომ იუკეს უნდა წაიღოს, ისიც დაევაგების
შემდეგ... არც სხვა რამ ხოჩაგეულობაა აქ იაფი, მეთევსეები არიან
აქ, ბატონო, მეტის-მეტად გათამამებულნი! აყრავლებული თევზიც
რომ იუკეს — ხმა ამოუღებელიც უნდა წამოიღოთ, თორემ თუ ხმა
გაეცით — სწულებითაც არ მოგცემთ!... „გასტინიცა“ თელავისა და
ძვირად ჭვიდიან ეოგელის ფერსა; ასე რომ მომსულელი თელავის სტუ-
მარი შიშით ვერც კი ჩამოხდება აქა. კერძი, რომელიც შესდგება ერ-

თის ჰატარა ხორცის ნაჭრისაგან — 25 — 30 კაზეიკად აჩის უოკელ-
 თვის. თუ ერთს დღეს ვერ გასადას ვეკლას კერძები მეორე დღისა-
 თვის შეინახავენ, ხან მესამისათვისაც... ერთი ახილებული ჭატი იუ-
 ამას წინაჲ თელავში, „გოტინიანისი“ იდგა ემუქებოდა დახდიდას,
 თუ ქართული ლაშარაკი გამაგონეთ აქა — აჩ ვიტი რას დაგმართებ-
 თა! ამ დროსვე აქ ოლქის სასამართლოს წევრებიც იყვნენ. ამათ
 შეუთვალა (ზემო სართულში იდგნენ) „ახილებულმა: რადგანაც მე
 ქართული ლაშარაკი საშინლად მძულს და ცუდ გუნებაზედაც გავსდები
 ხოლმე გაგონებაზედ — გთხოვთ ერთი ოთახი დამიცალათ — მე მანდ
 ამოვიდუ და თქვენ აქ ჩამობძანდეთ...“ თქვენგან არ მიგვირის! მოს-
 კავიდამ ხაბაშების დაბარებისა არ იუოს და ქართულის ანდასისა —
 „ჩემი....., შენი.....“ ვინ დაუთმობდა ამ უბადრუკს ოთახს! გესმით!
 საქართველოში მოსამსახურე კაცს სძულს ქართულის გაგონება; ქარ-
 თველთ შორის მცხოვრებს კაცს ეჭვავრება ქართულის ენის გაგონე-
 ბა!... ამა ამას ჭყელაია ბლომად მწყრები; ამა ამას ჭყლეტია ბლო-
 მათ „ზემოთა ეტაუებში!...“ ოლქის სასამართლოს განუყოფილებას,
 რომელიც წარსულის ენკენისთვის განმავალობაში თელავში იმყოფე-
 ბოდას საქმეების გასარჩევად, ზოგი ემადლიერება, ზოგიც ემდურება,
 ზოგი პირდაპირ აღთარებს; „ბევრი უსამართლობა გასწიესო.“ რამ-
 დენად მართალია ეს ხმა — რა მოგახსენოთ, მაგრამ სიმატლუ შინ-
 ძულებს ჩემის მხრით ვსთქვა ის, რაც შეგნიშნე ოლქის სასამართლოს
 ჰატარე-ცემულს წევრებში. საფუძვლიანი სამდურავია ხალხისაგან წევრე-
 ბისადმი, რომ ცხრა საათისათვის ხალხს ჰარებდნენ და „ვიითონ კი
 შუადღეზე ადრე არ მობრძანდებოდნენ სასამართლოში — მათ ამ დროს
 ეძინათ!... დიდი შეცოთებაა ეს წევრების მხრით. (აქაურებიც ამათა
 ჭბადვენ, ჰატონა, ესენიც ნამდვილად 12 სათზედ მობძანდებიან ხოლმე
 განსამართლებლად!) რა ჭქმნას საწყალმა შორიდან მოსულმა დაბარე-
 ბულმა კაცმა. „ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაბარებული დღის
 ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე მშორი ბღა „ტადარ-
 სს შინა თემიდისას...“ ეჩივლა? — ვისთან? მოსამართლეები თვითონ

იყვნენ ახა, მათთან მათხედვე რეგორ გაბედავდნენ ჩივილსა?! ვინ იტყვის: „დედა-ჩემი ავიაო!...“ მზის ამოსვლამდის, ბატონო, ქალაქის თამაშობაში ატარებენ დროსა და დღით თავის დროზედ რეგორღა მოვიდოდნენ?!... ეჭვ: რა გუფოთ, ახლანდელს დროში ყველა დაბაღს ღობეზე სტდილობს გადასტომისა... ვითომ ტფილისშიაც აგრე გვიან მობძანდებიან სოღმე უფაღნი წევრნი „ტამარსა შინა თქმდისასა?“ — ამ კითხვის პასუხს უმორჩილესად ვითხოვ თქვენგან უფ. რედაქტორო...

ამ ცოტას წახებში დიდი დავი-დაწაბა ჭქონდათ ერთმანეთში აქაურს სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთ. ერთი ყველას ემდუროდა, ყველა ერთსა. რამელი მართალი იყო და რომელი მტყუანნი — რა მოგახსენოთ; ეს კი ნამდვილია, რომ ორივე მხარემ საჩივარი ან ცნობა გაგზავნა უფ. სტრელეცკისთან. თქვენ, შკითხველნო, ადვილად მიხვდებით, რომ მასწავლებელთ შორის განხეთქილების დროს მათის მოსწავლეების მდგომარეობა მიემსგავსება იმ კოზაკსა, რომელიც წავიდებულმა აქლემებმა შუაში გაჭყლიტეს... ენახათ რეგორ გაარჩევს ამ საუურადღებო საქმეს უფ. სტრელეცკი... რა კი თელავზე ჩამოვარდა ღაპარაკი, ორიოდ სიტყვას აქაურს ქალების წმ. ნინოს სასწავლებელად გიტყვი. აქაურის „კლასნი დამებისათვის,“ რეგორც ეტყობათ, უმთავრესს პედაგოგიურს ჭეშმარიტებას, რომ „პირველ-დაწვებითი სწავლა ყველგან და ყველასათვის სამშობლო ენახედ უნდა მიდიოდეს,“ კლასტი არ გამოუყრავს? კლასტი არ გამოუდგას ამ ჭეშმარიტებას „კლასნი დამებისათვის,“ მეოქი, თორემ ესენი უწინდებურად რუსულიდგან არ დაწვეუბებდენ პატარა სოფელს ქართულს ქალებსა. ერთის სიტყვით, ამ საქალბო სასწავლებელში პირველ-დაწვებითი სწავლა ქართულის მაგიერ რუსულად მიდის. მით უფრო გასაცარია ეს მოკლენა, რომ ამ სასწავლებელს ადგილობრივი — თელავის და სიღნაღის მასწავლების თავად-ახნაურობა ინახავს თავის ხარჯით!

კაღმა მხარეშიც განდღობით სხვათა შორის ვიყავ სანტენისში, სადაც კვლავ ვადიტანეს სანტენისის შკოლა, რომელთაც დიდოელების აწინაყობის დროს თელავში იყო ჯადმოტანილი. რასაკვირველია უნახავად არ დავტოვე სასწავლებლის შენობა, მით უმეტეს, რომ ამიმაჟალს წელში განახლეს და დახარჯეს 12000 მანეთი! განახლება იგისრა თვით ამ შკოლის ზედამხედველმა, უფ. ყარაქეშიშევმა და მიიღო კიდევ 12000 მანეთი ხაზინიდან. ჩემის იუქროთ ამ ფულის სრულიად მხალი სახელი აშენდებოდა შკოლისათვის. შეკედი ოთახებში, მეგონა სულ უარყოით იქმნება შემკობილი მეთქი, მაგრამ სამს-ოთხს ოთახში კარხის მაგივრად ისეთი ტბები იდგა, რომ ნავით თუ გახვიდოდით, თორემ კაი მცურავიც შეშინდებოდა შიგ შესვლას! თურმე ისე კარგად განაწესების უფ. ყარაქეშიშევს შკოლის შენობა, რომ როგორც გარედ, ისე ოთახებში ჩამოდის წვიმა!... ხსდის იატაკის მაგიერ, ძველი იატაკი გაუშალაშინებინებია და წითელი წამალი წაუგლესინებია, ვითომ მუხანათობას ვერ შემიტყობენო. მაგრამ ჭკვიანს ჭიებს ისე დაუბუდებიათ შიგ, რომ თვითონ 15—20 ოთახი გაუკეთებიათ და წამლის წასმისათვისაც ძრეულ გაჯავრებულან. ამდგარან—მატლები, აუღიათ, ჯერ ბურღვებით დაუხვრეტიათ მთელი იატაკი და ნახევანი ნიხით ამოუყრიათ ზემოთ; ასე რომ თვითუღს ნახვრეტის გარშეჟ მო მთელი გორა ნახევანი ატრკია ყოველს დილით!...

ხე-ტყე, ბატონო, სახელმწიფო ტყიდგან გამოუზინდია უფ. უ. უსასუიდელოდ, ცაცხვის მაგივრად წიუელი მოუხმარებია;... ..

შკოლასთან დახსლოებულ პირებმა დამარწმუნეს, რომ როდესაც რევიზორი მოვიდა სახლების ჩესამოწმებლად, პირველს სადამოს დათვალიერების შემდეგ ძრეულ განრისხებული და უკმაყოფილო გამომეტყველება ჭჭონდა უფ. რევიზორსო. უფ. ე. დაფიქრებული დაიარკობოდაო. მაგრამ შკოლეს დღეს იქ დამსწრეების გასაოცრად, რაღაც მანქანებით რევიზორი ფრიად განარებული, გმაყოფილი და ალტაცებაში იყო და დიდადაც მოიწონა სახლები!...

თავი მომკრან, თავი, თუ ამ სახლების ახლანდელი გადაკეთება 12000 მანეთი ეღირება! ბერძენელ ყოფილს გაზეთებში, რომ უფ. ყანაქეში-შევი ცუდად აჭმევს და ასმევს შეგირდებსაო (მეტ გამტკიცებ) მაგრამ შთავრობა მანც ყურადღებას არ აქცევს ამ ბოროტ-მოქმედებასა. ეს საქმე უფრო უფ. სტრელეცის შეეხება. დროა ყმაწვილები გა-შოიხსნას ამ საშინელის „ფული-ყლაპისაგან“... დროა, აგრეთვე, მეტ გაკათავო ჩემი წერილი...

რ. ძამსაშვილი — ც.

ქ. თელავი, 1879 წელსა.

2-ს გიორგობისთვის.

რა არის საზოგადოება (კუზლიჩა) და სად უნდა
ვამკებოთ იგი.

(ისპანიური საჯირა ლარრასი.)

მე ბუნებით ისა ვარ, რასაც ჩვეულებრივ ღაზარაკში ეძახიან: „ძროხა-გაღს, უბადრუკს, ჭკუის გლახას. ყოველს ამას ეხლავე დანა-სავთ ჩემის წერილისაგან. ერთი, მხოლოდ ერთად-ერთი წუწი მჭირს და იგი წუწი იმაშია, რომ ბეგრი, ძალიან ბეგრი ღაზობა ვიცი და ჩემს აზრს წამოვიყრანტალებ სოლმე არა მკითხე მიაშხესავით. უნდაო, თუ არა, ყოველს ღაზარაკში ჩავეჩხირები სოლმე, ყოველს საგანსედა ჩემს საკუთარს აზრს შევადგენ და მართლს სუელელსავით ვატყავუნებ იმ აზრს ხან აქედ და ხან იქით. დემერმანი თავს ვიტკენ იმისათვის რომ ჩემი აზრი უადგილთა, თუ ადგილსუა. მე კი წამოვროშავ სოლმე და სხვისას არ დაგიდეკ. კინტ ამ მტირე მოთხრობით ცოტათი მანტ გაინტო ჩემი თავი, რასაკვირველია, არ იოცებს, რომ დღეს მე ჩვეულებ-რივის უბედობის სადერდელი ამეშალა და შინდა ვიუბედა, მაგრამ არც კი ვიცი რაზედ მოვეგე ღაქლაქს. ეს კი განვიზრახე, რომ უნდა დავწერო რამ „საზოგადოებისათვის“ და სწორედ მოგახსენოთ არ კი ვიცი „საზოგადოება“ რას ჭქვიან და რა არის. აი ფეხი გამოვეყე თუ არა მწერლობის ასპარეზზედ პირდაპირ ამ უნობს საგანს შევასაღე შუბ-ლი. რაკი ესრეა, მამ დეე ეს საგანი შეიმჭმნას კიდეც საგნად ჩემის პირველის წერილისა. მართლდაც ჯერ ვეგაზზედ უწინარეს ვიდრე „საზოგადოების“ გულისათვის შრომას გავეწედეო და დამეებს უძილოდ

გაკათენებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, ეკ. ვაჟ-ბატონი საზოგადოება რა წითელი კოჭი ბძანდება.

სიტყვა „საზოგადოება“ რომელიც ეველას ენაზედ დაუხვევია, რომელიც ეველას მოწმად მოჭყყას ხელზე თავის აზრის დასამტკიცებლად, რომელზედაც ეველა ამყარებს თავის საკუთარს წადილს და მიმართულებას, — ერთის სიტყვით, ეკ სიტყვა „საზოგადოება“ რა არის? ცარიელი სიტყვაა, ყოველს აზრს მოკლებული, თუ რამე ნამდვილის აზრის შეჩნებელია? იმის მიხედვით, რომ სიტყვას „საზოგადოებას“ ხშირად ხმარობენ, იმის მიხედვით, რა წოდებას თამაშობს ეკ სიტყვა ქვეყნიერებაზედ, რა მრავალ გვარს ზედ-შესრულებით ჭერთავენ, რა რიგად ჰსტივის-ჭსტემენ, — სიტყვა „საზოგადოება“ უნდა იყოს მართლად ერთი რამ ნამდვილად მყოფი საგანი და დიდის მნიშვნელობისა. ხომ ამბობენ „განათლებული“ საზოგადოება, „დაწინაურებული“ საზოგადოება, „ზიროთენელი“ საზოგადოება, „ჰსტივეტმული“ საზოგადოება, — ჭსჩანს რომ „საზოგადოება“ მართლად არის რაღაც რამ, ჭსჩანს რომ „საზოგადოება“ არსებობს. ამხედ ვუღი დავაჯეროთ და ეხლა ეს ვიკითხოთ: რა არის „საზოგადოება“ და სად უნდა ვეძებოთ იგი?

სწორედ ამ განზრახვით შე ვიკვიდე ჩემი გუდა-ნაზდი და გამოვედი შინიდან, რომ ქუჩებში დავეწყო ძებნა „საზოგადოებას“, თველი ვადევნო რა წითელი კოჭია და რაც განსაკუთრებით. თვისება შეენიშნო ამ „ჰსტივეტმულს“ ვაჟ-ბატონსა ჩემს სახსოვარს წიგნში ჩავწერო. ვერ ეველასზედ უწინარეს გავწიე საცა დიდი ხალხი გრგოდეს. ამისათვის ამოვირჩიე კვირის დღე მრავალი „ჩინოვნიკები“, მრავალი უსაქმო და საქმიანი, ქალი, თუ კაცი, მორთული, გამომრან-ტული ფუსფუსებდნენ ქუჩებში, შედიოდნენ ქაყდარში, რომ ხალხში გამოჩნდნენ და სტეპიც ჩანონ; მეტი გამოდიოდნენ და მიჩობდნენ სადარბაზოთ. თუ სახლის ჰსტრონიები შინ არ დახვდებოდნენ და ან არ მიიღებდნენ, სადარბაზო ბილეტებს ჭსტოკებდნენ; თუ მიიღებდნენ, მოჭყყებოდნენ და პარკს ტაროსზედ, რომელიც სწორედ გითხრათ,

ვერსიონი სალანკანკოა, ანკანკე, თეატრზე, რომელიც ანტი-
 მთქმელს და ანტი-გამგონს ანსსთერი არ გაეგებთ და სხვ. ამოვიღე
 ჩემი სანსსანი წიგნი და ჩავწერე. „საზოგადოება დაიარსება საყდრებ-
 ში, საზოგადოება ირთვება და იპრანკებს, საზოგადოება აკეთებს ვი-
 ზიტებს, რომლისგანაც თვითონ ბეზრდება და სხვასაც თავს აბრ-
 რებს, — მანსადაც, საზოგადოება (ვითხოვთ მის ნება-რთვას) ტყუილ-
 უბრალოდ ჰგანკავს დროს და ქვემოთმუცრობაში ატარებს თავის ცხოვრ-
 რებს.“

ახლა მივიღივარ იქ, სადა ხალხი სანსიონად გადის. აქ კი სწო-
 რედ მოგახსენოთ, ძნელია გრძელ ჰსთქვას ჩამე „საზოგადოების“ შე-
 სხვებ. ერთად ერთი აზრი, რომელიც შესაძლოა გაცდეს აქ თავში გა-
 მრეკანძობს ის ანტი, რომ „საზოგადოება“ გადის სანსიონად იმისთვის,
 რომ უღაპრს მტკეტი, ძლივ აუქტიოთ იუზი გამეღე-გამომეღეღს,
 მუჭეღეღებში მიიღოს და თვითონაც უთავზოს; ზოგი გადის იმი-
 სათვის, რომ თავისი ეკიპაჟი დაანახოს ხალხს, ზოგი იმისათვის რომ
 მუხლი უღამათოს ქვევითად სიანუღითა, ზოგი თავის გასართობად,
 ზოგი ანტიუბობის ბადის სანსრლად და დაანჩენები კი ბილეთების
 ასადებად ცირკში, თეატრში, თუ ანკანკეში და სხვ.“

აი დაბნედა გიდეც, მეც წამოვედი, ზენ ეკიპაჟს ვცდილობ მო-
 ვედილს, ხან ცხენოსნებს — ვა ყველაზედ უფრო სიშიში საზოგადოე-
 ბა რომელიც — დეკემბრები შესუდას უავსანებში, სანსტუმრობებში, რეს-
 ტორანებში, რომ „საზოგადოება“ განსა და გავსინჯო. შეგნობს,
 რომ „საზოგადოებას“ იქ უფრო ჰგვანება თავის მოყდა, სადა უწმინ-
 დურობას, სადა უფრო ცრუად აჭმევენ და ასმევენ და ან იქ, სადა
 სიფაქიზა, სიკეღეღება, სადა კვი სიჭმელი და სანსმელი იცინს. აქვდაშ
 ის აზრი გამომეღეს, რომ საზოგადოება რადც თვით-რეუღი და
 თვით-ნება ყოფილა. ან აქ არის ჯაქლაქი და ალიანქორთი ან! ამდენ-
 ნიონი დაანკანკე — ვინ მოჭსთუღის. ანუ აქ ჯანის-განსი შეტრო-
 ვიანი ჯგუფად, ზოგი სქედ დეკოგატები, ვატანს მომხარებთ ყუანსა-
 მეგანუთნი, ყველანი უვირანს, ხელებს ანათურებენ, მსუბობენ, ვასსა...

ბენ იმისთანა საგნებზედ რომლისაც არც თავი გაუგებათ, არც ბოლო აგერ უფრო მოსოკებით ოთხი უკბილო ბებრუცანა კაცი დგას და სძრახვენ ახალგაზდობას; არა ესმით რა, გძნობა არა აქეთა, არა აქეთ არაფერი ნიჭიო — არა გაეს ჩვენს დროსაო“ და სხვ. და სხვი, ერთის სიტყვით, ყველგან და კველანი მითამ ჭკვიანობენ და ჭკუა კი არსადა ჭსჩანს.

მე ამას უოკელს ფერსა ვხედავ, უოკელის ფერი მესმის, გულში მერინება და ვწერ ჩემს სახსოვარს წიგნში: „განათლებულ საზოგადოებას უფარს იმისთანა საგნებზედ ლაპარაკი, რომლებისაც არა გაუგება რა.“

ვიხედები აქედ-იქით: ღვინო წყალსაკით ისმის, ბახუსმა თავისი ქმნა: გაუხურა ტვინი „პატრი-ცემულს“ საზოგადოებას, რომელმაც ღამის თავის-თავისაც კვლარა გაიგოს რა. მინდოდა ჩემს სახსოვარს წიგნში ჩამეწერა: „პატრი ცემული საზოგადოება“ ითვრება: შეთქი, — მაგრამ ღმერთმა უშეუღოს, კარანდაშს წვერი მოჭსტედა და რადგანაც იქ დრო არ იყო კარანდაში გამომეჭრა, ეს სიტყვები დაშრნა მარტო ჩემს ხსოვნაში.

იმავე დროს სხვა ჯურის ხალხი ბილიარდს თამაშობს, ან ღამეს ათენებს ქაღალდის თამაშობაში, მაგრამ ამ ჯურის ხალხზედ სიტყვას არ გავაგძელებ, რადგანაც ეს ხალხი, ჩემის აზრით, ყველა „საზოგადოებაზედ“ უუგუნურესი საზოგადოებაა.

აი თეატრის დროც მოვიდა. მიუღივარ თეატრში და გულში ვიფიქრობ: იქ მანაც ვნახავ. შეთქი ნამდვილ „საზოგადოებას“, მოვისმენ მის საბუთიანს მსჯელობას, განწმენდილს გემოვნებას და „სიმატლით გამოთქმულს აზრსა.“ შევედი, ვნახე რაღაც ახალს გამოდიას აჩდგენენ. ერთი ნაწილი საზოგადოებისა რაც ქალი და ღონე აქვსთ ტაშს უგრავს, მეორე უშტკენს. ზოგი ამბობს ჩინუწული გამდიდააო, სხვანი კი, ღმერთმა შეინახოსო, არაფერსა ჭკავსო, საბაკელი რამ არისო. ერთის სიტყვით, თავი და ბოლო არავისი გააგება.

თან-და-თან უიჯრო გაოცებულმა ამ ჩემის საგნის ობიექტის გამა-
 მლა, მიგმართე ჩემსედ უიჯრო განათლებულ და მტოდნე კაცებს. ვკით-
 ხე დაწინებულის კამედიის დამწერს: „საზოგადოება“ რა არის ქეთ-
 ქი? და იმან მიპასუხა: ისა ჰესკოპის გეკითხათ, რამდენმა სულელმა
 უნდა მოაყაროს თავი, რომ მით „საზოგადოება“ შექნდეს.“ იგივე ვკით-
 ხე მოწინებულის კამედიის დამწერს და მითხრა: „საზოგადოება არის
 კრება განათლებულთა გვამთა, რომელნიც გამოჩენილ თხზულებას
 ათასებენ სოღმე ღირსებისაშებრ თეატრებში.“ უურნალ-გაზურებს ჰგო-
 ნიათ, რომ მათს ხელის მომწერთა წრის გარედ საზოგადოება არ
 არის. თუ ეკრება ისინი უნდა მუბღიფისტებს დიდი „საზოგადოება“
 არ ეფუძლებათ!... მე ვიტა, თვლას ვერ აუვლენ!... ადგოკატებს ჰგო-
 ნიათ, რომ „საზოგადოება“ მარტო მისთა მრწომუნებულთაგან შექნდგე-
 ბა; ექიმს ჰგონია, რომ „საზოგადოება“ ჩემი ავად-მყოფი ხალხია
 და იმის ხელობის წყალობით ეგ მისი საზოგადოება დღე და დღე
 გლეხობს და სხ. ამ სახით შუადამედინ ვიცადე და „რა არის სა-
 ზოგადოება და სად უნდა ვეძებოთ იგი,“ — ამბების გადაწვეკტილი,
 გარკვეული პასუხი ვერ მივიღე.

მაშ კილას საზოგადოება? ისინი, რომელნიც წარა-მარად დაეთ-
 კეიან, შიშველის დედა-კაცების სურათებს ყიდულობენ და ზოღ-დე-
 კოკის რამანებს კითხულობენ. თუ ისინი, რომელნიც აღზობენ მაგა-
 ზინების თანხებში საქეცნიერო წიგნებს, კლასიკებს, გომეკის თხზუ-
 ლეებს? ისინი, რომელნიც დღე და ღამ იმისთვის დაწინაწინ რომ
 როგორმე „მოკონ“ ილეთი გამოჩენილ მომღერალის ქაღის სახანა-
 კად, თუ ისინი ვინც ამ ბილეთებს ყიდულობენ, რომ გაჭყიდონ მო-
 გობითა? ისინი, რომელნიც ხალხის აფეთქების დროს ჰესწვენ, თაფი-
 თა ხერეტენ, ახრებენ, თუ ისინი, რომელნიც მშვიდობიანობის დროს
 უკულა ფერს ითმენენ, გულ-მოღვინეთ პირ-ფეკობენ და საქმეებს
 ორიგებენ?

ან კი თვითონ მსჯელობა საზოგადოებისა — ეგ ხმა ქვეყნისა
 რაში მდგომარეობს? იმაში თუ, რომ იგი მსჯელობა, იგი ხმა ფეხ-

ქვეშა ჭსთელს ხელზე უჩუკელს განონიერებას და სიმართლეს? ან იქნება იმაში, რომ საუგუნოდ შეურცხვენს ხელზე სახელს გონიერს კაცს, რომელიც არ გადის დუელში თუ ერთმა ბრძივმა ვინმე აწყნინა რამ? ანუ იმაში, რომ დიდის ყაღობის მტაცებელსა გმირის სახელით აქებს და ადიდებს და ორი შაურის ქურდსა კი სახნობელაზედ ჭკზანის?

ნეტა რაა ჩემოო, რომ ამ საზოგადოების მოწყალის თვალს მოსაზიდავთ, დაულაავი და შრომის მოყვარე მწერალი მთელს თავის სიცოცხლეს წერაში ატარებს, ანუ ნიჭიერი მოთამაშე თვატრისა ჭუვირის და იქნევს ხელებსა მთელი თავისი დღენი? რაა ჩემოო, რომ ვაჟ-ვატი შეომარი სიკვდილს არ ერიდება, ოღონდ მის წინ თავი ვისასხელაო? რაა ჩემოო, რომ ამოდენა ხალხი თავს იგლავს, ოღონდ რითმე თავი გამოვიჩინოა „საზოგადოების“ წინაშეა?

ამაებს რომ გამოუდგე შორს წავა. ძილის დროც მომივიდა. მე რაც სახსოვარს წიგნში ჩამეწერა და შემენიშნა ხელმოკრედ გადავიკითხე, გადავთვალეიერე და აი ორ ნაირი დასკვნა დავადე:

ჯერ პირველი ისა, რომ „საზოგადოება“ მარტო მიზეზი ყოფილა, მარტო ფარდა ყოფილა თვითვეულის წევრის საკუთარის გამარჩობისათვის. მწერალი ბლახინის ქალაქდს, „საზოგადოებას“ იუულს, ანთმევს იმ მიზეზით ვითომ იმისთვის იღვწვის, საზოგადო სიკეთისათვის ცოდვილთბს; ექიმი და ადვოკატიც იმავე საზოგადოებას საკეთილად მოქმედობენ, რომ ჭკითხთოთ; მკერვალი, წიგნის გამყიდველი, მესტამბე ჭკერვენ, ჭბეჭდნენ, ატუეუბენ, ჭპარაკენ ვეკლას იმავე კეთილის განზრახვითა. თვითონ მთავ... მაგრამ ესე რომ ვაკუვე შეტად შორს შემატოხინებს ჩემი ენა, ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი. თუნდ ებეც არ იეოს უნდა გამოგიტუდეთ, შეც თვითონ საზოგადოებისთვის ვწერ და თუ ენას აღვირი მიუშვი, ჩემს ნაწერს საზოგადოებამდე ვინ მიუშვებს? მაშინ ჩემს ნაწერს მკითხველად მარტო შელაკეულები...

შეორე დასკვნა ჩაზედაც მე დავექით იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ერთიანი, ერთ ხაზით, დადგრომილი, უცვლელი, ტკეპ-
 დამჯდარი „საზოგადოება“, როგორც მრავალნა ამტკიცებენ, არამედ
 უოველი წრე ცალკე საზოგადოებას, და ამ სხვა და სხვა ულორტუბისა და
 ხსნათებისაგან არაა შემდგარი მრავალ ოვეროვანი სახე მისი, რასაც
 ჩვენ „საზოგადოებას“ ვეძახით. ეს უკანასკნელი საზოგადოება თვით
 ნება, თვით რჯულია, ცვალებადია, დაუდგრომელია; უოველთვის უს-
 მართლოა და წინ დაუხედავი; არაფრის შემწყნარებელია და უოველის-
 ოვერის ამტანი კია; გულ-მოდგინება ძველისათვის და უუკარს ახალიცა;
 უმიზეზოდ აზილზილდება, და უსახუთოდ ჰსჯის; მცირეზედ რაზედმე-
 იოეთქებს, მცირეზედვე ჩაქრება; არც ის იცის რად უუკარს, არც ის
 იცის რადა ჰსძულს თუმა არც მის სიუკარულს და არც სიძულილს,
 სამძღვარი არა აქვს ხოლმე. როცა ვოგებრივ არის, თავ-მოყრილი
 ჯგუფად, მაშინ ვველანი ერთად ერთს ამბობენ, ცალ-ცალკე კი სულ
 სხვას; მოჭსწონს მარტო გაიძვერა, ხერხიანი, ხსავანა, შუათანა ყალი-
 ბის კაცი; არა-მევირალა, ჩუბი, ნიჭით სავსე კაცი კი ან დავიწყებუ-
 ლია მისგან, ან ათვალწუნებელი; უმადურობით უხდის სამაგიერონს
 დიდს მოღვაწესა და კაი თვალის უუუტებს მას, ვინც ეფერება და
 ატყუებს. დასასრულ ჩვენ ძალიან ვცდებით, რომ ერთმანეთში ურვეო
 საზოგადოებას და შთამომავლობას; შთამომავლობა სულ სხვა არისა;
 შთამომავლობა იგია, რომელიც თითქმის უოველთვის არღვევს ხოლმე
 „საზოგადოების“ უსმართლო განაჩენსა.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ნ ს ა ლ ა

I

გ ლ ო შ ი ს წ ი ბ ნ ი ი მ ა რ ი თ ი ს მ ზ ო ი ს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს გ ა უ ლ ლ ი ს ა მ ა რ ი ა გ ი ს ა მ ი წ ა რ ი ლ ი ჭ უ თ ა თ ა ლ მ ი ტ რ ო ვ ო ლ ი ტ დ ო ს ი თ ა ო ს თ ა ნ .

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობაჲ ქუთათელ მიტროპოლიტო დო სითუოს!

მ ზ მ ა რ ს ა ჯ ე ა რ ე ლ ო მ ჰ მ ა რ დ ა მ ა ს ლ ო რ ჩ ე მ ო , ო დ ე ს გ ა ნ ე ს ე ნ ე ს რ ი ს ს ე ი თ ს ა ქ ა ნ ე ლ ნ ი ც ი ს ა ნ ი წ ა რ ღ ე ნ ა დ დ ა ა ლ ს ა წ ე კ ე ტ ე ლ ა დ უ ო ჯ ო ნ ი ს ქ ე ვ ე ა ნ ი ს ა , დ ა ე ჳ ა ვ ა ი მ ე ი ს მ ს გ ა ვ ს ი მ ო ი წ ი ა ჩ ე მ დ ა მ ო დ ა შ ო ა ვ ა რ დ ი მ ე უ მ ქ ე ი ტ ე ს ს ა ო ს კ ე რ ს ა უ ო ს კ რ უ ლ ი ს ს ა დ ა დ ა შ ო ა მ ი ლ ვ ი ქ ე მ ე მ ა თ ე რ ი ს შ ო ა ვ ა დ ლ ე ჯ ა ს ა ს დ ვ ი ს ა მ ი ქ რ , რ ო მ ლ ი ს ა ა რ ა ვ ი ნ მ ა ქ ე ს მ ო ხ ვ ა ი მ ნ ე დ ა რ ც ა მ ა კ ე ლ ო ვ ო ლ ე ს მ ი ს ლ ე ჯ ვ ი ს ს ა დ ა ვ ი მ ე ო თ ე ბ ი ს ა უ გ ე ნ დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ს ბ ნ ე ლ ს უ გ ე ნ ს ა დ ა დ ა ი ზ ა რ ა ქ ე ო რ ი თ ა დ ა მ ა ვ ი თ ა დ რ უ ბ ლ ო თ ა ბ რ წ ე ი ნ ე ა ლ ე ბ ა ი ჩ ე მ ი , შ ე ი მ უ ს რ ა ა მ ა ლ ლ ე ბ ე ლ ი ტ ა ს ტ ი ჩ ე მ ი , დ ა ე ც ნ ე ს გ ა ნ მ რ წ ე ი ნ ე კ რ უ ლ ი მ ა ლ ა ტ ი ჩ ე მ ი , დ ა ბ ი ნ დ ო ვ ა ნ ი ქ მ ე ს შ ა რ ა ვ ა ნ დ ე ლ ნ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს ჩ ე მ ი ს ა ნ ი , გ ა ნ ი შ ო მ ო რ თ ე რ ი მ ე ო ო ბ ი ს ჩ ე მ ი ს ა , დ ა დ ა მ რ ტ ი ს ო რ ნ ხ ვ ე ს ა ს ე დ ე ჯ ე ლ ნ ი ჩ ე მ ი ნ ო დ ა დ ი რ ღ ე ს უ ო კ ე ლ ნ ი ა ლ ა გ ნ ი ჩ ე მ ი , დ ა მ ა ვ ა რ ი ქ მ ე ს ჩ ე მ თ ვ ი ს ს ა მ ე ბ ე ო ნ ი ჩ ე მ ი დ ა ნ ა ც ვ ე ლ ა დ ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ჩ ე მ ი ს მ წ უ ხ ა რ ე კ ი ნ ი , ნ ა ც ვ ე ლ ა დ გ ა ნ ც ხ რ ო მ ი ს ჩ ე მ ი ს ა დ ა შ ე ვ ე ბ ი ს ჩ ე მ ი ს ტ ი რ ი ლ ი ს ა უ გ ე ნ ო , ნ ა ც ვ ე ლ ა დ დ ი ღ ე ბ ი ს ა ს ი მ დ ა ბ ლ ე , ნ ა ც ვ ე ლ ა დ თ ა ვ ი ს უ ო ლ ე ბ ი ს ტ ე ვ ე ო ბ ა ნ ა ც ვ ე ლ ა დ ს ი მ დ ი დ რ ი ს ა ს ი გ ლ ა ს ა ჯ ე დ ა უ ო კ ე ლ ო მ ვ ი რ ხ ი ლ უ ლ ე ბ ა , რ ო მ ლ ი ს ა ე ნ ა გ ა რ ო მ ო რ ი ვ ე რ შ ე მ მ ლ ე ბ ე ლ ა რ ს ა ლ წ ე კ რ ა დ . დ ა ე ჳ ა ვ ა ი ა რ ლ ა რ ა გ მ ა ს ა უ ო თ ე ლ ა რ ს ჩ ე მ დ ა მ ო შ ე მ თ ხ ვ ე უ ლ ე ბ ა ე ს ე ვ ი თ ა რ ი დ ა უ მ ვ ი რ ე ს ნ ი დ ა უ ს ა ს ტ ი კ ე ს ნ ი დ ა უ ი წ ა რ ე ს ნ ი ნ ა დ ლ ი ს ა დ ა უ მ ქ ე ე თ ლ ე ს ი მ ა ხ ვ ი ლ ი ს ო რ შ ი რ ი ს ა მ ო ი წ ი ა ჩ ე მ დ ა მ ო მ რ წ ო

ლით ჩემის ხელმწიფის მეფე სოლომონის უკამოდ უცხოებასა შინა
 გაქცევას, სახკებელმან სასმენელმან ისმინა და უბედური მის მიერ
 ქვირთვად და ოხრად სახელდებულ ვიქმენ. ვაი ყოვლად უსამღვდელოე-
 სო, სადა-აჩს შენ მიერ შეუვარებული მეფე სოლომონ? ველარ შეამ-
 გობ დღესასწაულსა ბრწყინვალესა მის ადგომისასა, აღარ იხებებ სა-
 სახლესა მისსა წირვასა ქალაქსა შინა ქუთაისს, არღარა მიეგებებო მე-
 ფე სოლომონს ჯვართა და ღამხრითა და ეგრეთვე ჩვეულებისებრ
 არა ამბობს გიყოფს და არა მიულოცავთ დღესასწაულსა. შემოგრივი
 და შემოგტირი ჩემის ხელმწიფის მეფე სოლომონის გამიწებასა და
 მისს უძეოთ აღმოგებრასა. ვაი სიღვან გელაპარაკები, ვაი ვითარ
 იტიროს ქვეყანა ესე უნდოსა და მწუხარებისა ჩემისა, რომელ მეფე
 იგი მშვიდი და მდაბალი და მართალი და ესრეთ განქანდა და არა-
 ვინ დაშთა თვინიერ ჩემსა და უბედურისა დისა მისისა მათასა, რომ-
 ელიცა ვართ ურთი ერთ-არს სისხლის ცრემლით შემტირალნი და
 მწარისა გოდებითა მჭყოფნი. ვაი ყოვლად უსამღვდელოესო, მშვენიე-
 რი მეფე სოლომონისა თავი შავის მიწითა იფარვისა, ვაიმე დანთქა
 ჩემთვის ყოველი განცხრომა და ქვეყანა და წარხდის ყოველი შვება
 და სახარული! მიგლოვდით ცანი და ქვეყანა და ყოველნი ნათესავნი
 და მხილველნი ჩემნი და მეფე სოლომონისა მე და მეფე სოლომონს,
 ვინაითგან ვიქმენით ორნივე უცხოებასა შინა მდებარე, მაგრამ იგი
 განისვენებს ზეცისა სამყოფსა და წილთა შინა აბრამისათა დავით
 მამისა თვისისათანა მსგავსად აბელისა და მიიღებს მჩხობლისა მოსკლას
 ქარსტესსა, რომელიცა დაკლებულ იქმნა მისდამი სოფელსა ამას
 შინა და მე საუგუნოდ ვიწვები ალითა და მაქვს მე საუგუნოდ სიკვდი-
 ლი და გოდება დაუცხრომელი.

ყოვლად უსამღვდელოესობისა თქვენისა მსახურების მოწადე უბე-
 დური, მეგდართა თანა შერაცხილი იმერეთის დედოფალი, დადი-
 ნის კაცისას ასული მარიამ.

მეფის თეიმურაზ პირველისაგან ბალეჰსილი
ბრძენის სასახლეზედ.

ეს ლექსები ბალის სასახლეზედ ყოფილა დაწერილი.

ღმერთი არს თავი ყოველთა, იგი ვაქით განკადიღოთო,
სამნი ნათელნი ერთად კვსთქვარა მამა, ძე, სული წმიდოთო,
მისის ცნობითა განვნათლდეთ, გონება განვიწმიდოთო,
განვადლოთ უსჯულთება, ნუ კემჭსგავსებით დიდოთო.

აქ არის აშტი გუნბაწი, ბაღისა ჰსდგას შუა-გუფოსა,
შიგ ათას-თეერნი ყვავილნი, კარდი გაშლილი გუჭოსა,
ცნობილთა კაცთა საფდომლად აღრიდგან გამეგუფოსა,
ჩემიმც ცოდვა აქვს ავს კაცსა, კარი არ დაუგუფოსა.

აქ არის ბაზმის სობათი, სუფრისა შემეობილობა,
დრო ახალ ნერგთა ყვავილთა ტურთა ვარდისა შლილობა,
ბუღბუღლთა ბგეკა, ყივილი, ხმა მჭეკრად შეწყობილობა,
მუტრიბთა რასტი, მუღამი, სასმენელთათვის ტკბილობა.

თვითან ჭშეენის და აშეენებს წაღვოტსა ბაღისა ბაღსა,
თუ ლხინი გინდათ თქვენც ნახათ, სხვას უკეთესსა რადასა!?
გიაფ ჩემს უგან ვინც დაჩჩეთ, შტროხსა, ჟმასა, აღასა,
ვინც უმატოდ მიეზურას, ცალმც მისნ ჭყავს ბაღსა.

სახლი შევმზადე საჯინოდ, მე შევემ თეიმურასო,
შევამეგე კედელ-უურენი, ვეჭე თავსაც კარგად ბურავსო,
დავხატე ფერად-ფერადად, ჭკაკს რომე იყოს მურასო,
ტალახიანის ფეხითა, ნურავინ გამიმურავსო.

III

ქველთა და ახალთ საქართველონ მელექსეთ სახელნი

ნათქვამი შეფის თეიმურაზ პირველისაგან:

სხვას ლექსით ჩახრუხამან, შეამეო შევე თამარი,
არ მებრალეების საქებრად, თამარი მისი ჭამარი,
ვაი ამით რომ სრულ ვერ ჭეო, მაღე უთხარეს სამარი,
მუდამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ, მაგრამ მისიცა სამარი.

როსტომიანი უთქვამსო, თურმანის ძეს ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი, ჭსჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ჭსძეს მაგრამე, მონხმარება მის დროსა.

ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბეერი ჩამ გაურეგია,
საბრალოს ვერ შეუწევია, წმიდა ჩამ აუმღვრევია,
მასთან ჩას ჭსწერდა მის ლექსსა, სირეგნე მას მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის და იგი არც მორევია.

ჩაგლაგსა თავლეგის შეიღსა, არ ვინ ათხოვებს ვურსაო,
მას კაცხლი დაუმსგვრევია, და კვად დაუგურსაო,
სულ მელექსენი შეჭყარნე, მაგრამ ამ ღრთა მშურსაო,
რა დაჯაბრადო ჩაგლაგსა, ვერ მიჭეკს ბედაურსაო.

ქაიხოსრომან შიგ ჩართვით, ლექსად ჭსთქვა ომანინი,
ომანის სიმხნე საძველეთ ფაჭვის ცმა მოემნინი,
კარგად რამ უთქვამს მის გამო, არა ვჭსთქვა მისი ზიანი,
ევგვილშიც გამოერევა, სულთა ქუფრად რინი.

ზარსადანის ქემ ნოდარ ჭსთქვა, ქება კარგა ნარამ გუჩის,
შვილთ სულთა ხელმწიფეთა, ხატბა მარულის არ აგუჩის,
თვალნი თლილნი მოაფრქვივნა, გარევა ჭყო არ აგუჩის,
მის ლექსისა სასმენელად, მიზერობა ჭხამს კარგა უჩის.

გარსევან ჩოლოყაშვილსა, უთქვამს რამე რაბია,
კიტრი ხილად რადან ვარგა, ვაშლი მოვა რაბია,
ესევე ჭსჯობს რაც მასმია, მისგან მონახსენებია,
გული ჭკვდობა ნარგიზთათვის, თვალნი გაუსტერებია.

სულხანი, თანიას შვილი მეც მახსოვს იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჭქონდა ბუკრი რამ, მაგრამ ჭსწამობდენ ჩემობას,
ამიჩან დარეჯანისძეს, უქებდა გამომჩვენობას,
თუმცა კარგათ ჭსთქვა მაშინცა ნუ ჭგონებ რუსთავის ოდნობას.

ბარძიმ კანხაძემ საამის, წიგნი გალექსა ოდიშსა,
სხვას მელექსესთან ჯდომასი, უხამს იხდიდეს ბოდიშსა,
თუ არ შეეძლო რისთვის ჭსთქვა გაიხდის საამ ბადიშსა,
ვეჭვ თუ არ ეთქვა მით უთქვამს საქმეს უზემდენ საშიშსა.

შემოქმედელი იაკობ კახსენო, ბრძნად მოუბარო,
ამ უამად მას მეცნიერი არსად არა ჭყავს უბარო,
სადმთოს სიტყვითა შიარობს, არის საეროს გმობარო,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რამ იყო ჩემი მგობარო,

ფემანგი ფაში ბერტყაძემ, ახლა ჭსთქვა აფიქმალისანი,
სომხისგან კარგად ჩაგდეთ, სიმძიმით თვით ლიტრისანი,

გებრალბოდესთ საბრალთ, ცხარ-მოჭრით თვალ ცრემლიანი.
 მე ვათქმევინე მაგრამე ვერა ჭსოქვა მართალიანი.

სხვათ მეღექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დოლაძესა,
 არც დათუნა ქვარიასა, შოთას რად ვერ წაბაძესა,
 რუსთველმა ჭსოქვა კაცის კაცად, სჯამე რამე დიდა ძესა,
 ჭხედათ ვარსკვლავთ სიმრავლესა, ვერ ედრება შუქით მზესა.

ქართველთ ენითა მეღექსეთ, ვერ ედრებიან ამ ორსა,
 რუსთველსა ენა რიტორსა, შეფესა ალვის ნამოქსა,
 ერთმანეთ რად ვახასებთ უხამს თუ ჭუოფდენ ამბოქსა,
 სრულად იტყვიან უკლებლად, ჭამბავსა სხვაქსთა ნამოქსა.

ხევსურული დალოცვანი

ხევსურთა დეკანოზთაგან გაგონილნი და მათის სიკვით ჩაწერილნი 1865 წ.

I

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება და გამარჯვება შენდა!
რაც ღვთის ღანაჲდაა, გუგუნიება შენ, შენს ბატონობას; შენ მორიგე
ღმერთო, არ მოგვიწინო! შენს მესვეურსა, ჩოქის მომყრელსა, მად-
ლის მომთხოველსა შენ ნუ მანიწვენ, ნუ მანიძულებ. რაც რომ გულ-
ზედ და მხარზედ გიძახებდეს იმაზე გაუგონე. შენ შენი ბატონი,
შენ შენა მორიგე ღმერთი არ მოგვიწყენს მესვეურსა, ჩოქის მომყ-
რელსა, მადლის მომთხოველსა. ველთ გასულს გიძახებდეს, შენსვეწე.
მგზავრობა მშვიდობისა მიე, ავდარს გაუდარე, ლაღს მტერთან
ჩაუთვარე, მიწრიელ დაუღაგმე, შინ მშვიდობით მოიყვანე. თუ
რამ გამოვიდოდეს ღვთის კარზედ გამოშვებული ღვთის იასაული:
ხარციელთ ჭებერებდეს, ყაღანს ზიდევდეს, მაგის ყუდროს ნუ მიჭკერ-
ძებ, სხვა ყუდრო აღაგს მიასწავლე. შენ შენის ბატონობის მოხრი-
ლი ჩოქი, მოთხოვნილი მადლი შეიურკვე. რაც მხარზედ და გულზედ
გიძახებდეს კაცისა, საქონლისა, ნაშვრალ-ნაშუშავრისა მესველი და მწყა-
ლობელიც იყავი.

II

მკედრის დალოცვა

ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა! ღმერთო, დიდ-
ბისა და მადლის მეტი შენ არა მოგვესენება რა. შენგანაა გაჩენილი ყო-

ველი სამართალი, ხვეწება ვაცისა, ბარება სულისა. ღმერთო, იურვე, იხიიშნე; ღმერთო, რაც დაჭკლებია ნულანას დააკლებ; ღმერთო, დაცემული აღდგინე, ატირდომილი გააცინე საცა ქრისტე ჰურბოს, საცა ანგელოზი უამობს, ცოდვიანი ნანობს, მადლიანი გაისვენებს. შამოვიდა ანგელოზი იეხითა ქრისტესითა. ქრისტეო, დასწევე ჯვარი სულს ამას და სუეტას იმას! ცაო ქრუბისაო, ღრუბელო ნათლისაო. სხვათა მასწავლებელო დედაო დიდის მუუვისაო აღაღად და მთავრად აცხონე სული მისი ვისიც სახელ ედუბის, სანთელ ენთების.

III

ქორწინების დალოცვა

ღმერთო, გეხვეწები, — ცა-რგვლის გამხენო, ოქრას ტახტის დამდგომელო, სანთელ-გვირგვინს გამხენო, გეხვეწები იესო ქრისტესა, ცოდ-ქმობის გამხენსა ერთმანეთა შებეკე, ბედიანი ჭქენ დოკლათიანი.

სხვა და სხვა ამბავი და ცნობა

— რომელი სახელმწიფო რაჰდენს ჯარს ინახამს მშვიდობიანობის დროს. ერთს ნემენტურს თხზულებაში მოყვანილია ცნობა მასზედ თუ რომელს ეკროპიის სახელმწიფოს რაჰდენი სამუდამო ჯარი ჰყავს მშვიდობიანობის დროს და ამ ცნობებიდამა ჰსჩანს შემდეგი: უგელაზედ ნაკლები ჯარი ჰყავს ჩერნოგორიას, სულ 100 კაცი; ლიუკსემბურგს—513 კაცი; სერბიას—4,222; საბერძნეთს—12,000; რუმინიას—12,750; დანიას—18,106; გოლანდიას—32,000; პორტუგალიას—35,733; შვედს—36,504; ბელგიას—45,370; ისპანიას—100,000; იტალიას—220,620; ავსტრი-ვენგრისს—292,191; გერმანიას—418,821; საიურანგეთს—496,354; რუსეთს—575,000. სულ ერთად ეს ჯარები შემდგარნი არიან 2,212,567 კაცისაგან; აქ კიდევ ზღვის-ჯარის კაცთა რიცხვი ორასი ათასი რომ დაუმატოთ გამოვა სულ—2,637,000 კაცი. ამ ჯარების შენახვაზედ უოკელ წლივ ინახება ათას-ხუთასი მილიონი გულდენი. თითო კაცი—სულ ცოტა რომ გჰსთქვით—დღეში ერთის გულდენის საქმეს მაინც გააკეთებდა; მაშასადამე ამ სამუდამო ჯარების წყალობით ეკროპია უოკელ დღე ჰჭარბავს 2,637,000 გულდენსა და წელიწადში ცხრა-ას-ორმოც-და-ცხრა მილიონსა. ამ დანაკლისს ისიც დაუმატოთ რომ 400,000 ცხენია ჯარებზედ მომცდარი.

— ყველაზედ ხნიერი კაცა ქვეყანაზედ. კოლუმბიაში, იქაურის ეკიმის ხარხანდესის სიტყვით, აქამდის ცოცხალია თურქე ერთა კაცი, რომლის ხნისაც მთელს ქვეყანაზედ აღაიანი არ უნდა მოიპოვე-

ბოდეს. ხეჩნანდესი ამბობს მე ერთი კაცი ვნახეო სახელად მიგუელ სოლისიო, სან-სებასტიანის ახლად-მხლოდამ არისო დაბადებით. სოლისი ამბობსო, ას ოთხმოცის წლისა ვარო, მაგრამ მეზობლები გამტყვიებენ, რომ ბევრად მეტის ხნისა არისო. იქაური მოხუცებულები ამბობენო, რომ ჯერ ჩვენს უმაწვილობაშიო სოლისი ას წლებზედ მეტ მოხუცებულად ითვლებოდაო. გარდა ამისა ერთი სიკელ გამოჩინდა 1712 წელს დაწერილი, რომელზედაც სოლისის ხელისა მოწერილი და სოლისმაც აღიარა თურმე, მართალია ჩემი მოწერილიაო. ასე თუ ისე, სოლისი ესლა ერთად-ერთი ადამიანისა მეხვიდ-მეტის საუკუნისა. თუმცა ასეთის დაუფერებელს ხნისა, მაგრამ მაინც კიდევ მხნეთ არის და ანამც თუ ჭკუით თუ გონებით დაჭკლების რამ, ანამედ დღესაც მუშაობს თურმე. თავის ხანგრძლივობას იმას აბრალებს თურმე, რომ ზომიერი და წესიერი ცხოვრება მქონდაო და ხორცი საჭმელად თითქმის არ მიხმარაო.

— შვილიერობით მდიდარი ქვეყანა. ექიმი ავანია ამბობს, რომ კოლუმბიის შტატის ხალხს საკვარკუელი შვილიერები არიანო. იქ ერთს იმისთანა რჯახს ვერა სახეთო, რომ ხუთმეტზედ ნაკლები ბალდი იყოო. ერთს რჯახში ამ მცნიერს უნახავს ოცდა თოთხმეტ ბალდი, ამათ შორის რამდენიმე ტყეში ეოფილა; მეორე რჯახში უნახავს ოცმოცდა-თორმეტი ბალდი. იქ ქალები თოთხმეტის წლისანი თურმე თხოვდებიან.

— მოლდი და ნუ გამდიდრდება პარიჟი. შარშან ჰარიუს იმოდენა ხალხს მოაწედა სხვა ქვეყნებიდან და საფრანგეთის სოფლებიდან, რომ თავის დღეში არ ნახულა. ჯერ 1878 წლის ცხრა თვის განმავლობის რიცხვის მართლ გამოცხადებულა და იქიდანა მისხანს, რომ ამ ცხრა თვეში ჰარიუსი მოახულა 37,467,799 კაცი თუ ქალი. რკინის გზების გამოჩინების აღარ ვიტყვობთ და მართლ ქალაქს ჰა-

ჩიყს კი ამ ცხრა თვეში რამდენიმე მილლიარდი ფრანგი შემოუვიდა. თუმცა მწელად საფიქრებელია, რომ ოროს-შუა რიცხვით თვითვე ულს მოსულს ასს ფრანკზედ მეტი არ დაეხარჯოს, მაგრამ ასი ფრანგიც რომ მივიღოთ ანგარიშში, მაინც გამოვა რომ ჰარეჟმა ამ ცხრა თვე-ში იღო სპი ათას შუადას ორმოცდაექვსი მილლიონი ფრანგი. ამის შემდეგ რაღა საკვირველია რომ ჰარეჟა დღე და დღე მდიდრდება და ევავის.

— ორი მოხერხებული ქურდობა. ერთს დიდი-კაცის ქვრივს, გათხოვილი ქალი ჭეოლია, რომელიც თურმე ქმართან ქსცხოვრებდა. უკანასკნელს დროს ავით ყოფილიყო ქალი. ახალწლის მეორეს დღეს ერთი ვიღაც მოსულიყო დიდ-კაცის ქვრივთან და ეთქვა რომ თუ მალე არ მიხედეთ, თქვენს ქალს ცოცხალს ვეღარ მიუსწრობთო. ქვრივს ამ უცნაურს ამბავზედ გული შემოჰჭურია და როცა გულის ყრა გადასვლია და მოხერხებულა, უნახავს რომ ოთახში ადარკინ არის და ყუთები და ზანდუკები დადებულია და აქოთებული. ძვირფასი ნივთები და ბანკის ბილეთები წავლო თურმე ხერხიანს ქურდსა. ქალის სანახავად მაინც წავიდა და ქალი სრულებით კარგა შეაფი დახვდა. მეორე ქურდობა აი როგორ მომხდარა: ერთი მძიმედ ავიდებული მუშა მოდის თურმე ქუჩაში და დაეკახა მაგარის მინას; მინაცა და სხვა იანჯარაში გამოწობილი მინის უკრტელიც დაატკნა გამოკარდა დუქნიდამ პატრონი, დაეწია მუშას და დაუწყო წახახედი მიზლიო. მუშა დაუდრიჯა თურმე, აბა რა მზადია, რომ გიზლოო. ორმა ამ დროს იქ შემსწრე კაცმა უჩნია დუქნის პატრონი, ჯიბეები დაუხსრიკოო, უპოვი რასშეს და გადახდევინეო. გაუსინჯა ჯიბეები და ათას ფრანკიანი ბანკის ბილეთი უპოგა. მუშა ტირილით ემუჯრება, — ნუ მარტმეკ, ჩემი არ არისო, ჩემის აღისაო. მაგრამ არაფერმა უშველა. დუქნის პატრონი წაართო ის ათას ფრანკიანი ბილეთი, შევიდა დუქანში, დაახურდა ის ბილეთი, ორასი ფრანგი წახახედის ფასი თვითონ აიღო.

და დანახეი ხურდა 800 ჟრანკი მუშას დაუბრუნა მუშა წყველით და ქოქვით წავიდა თავის გზასად, მაგრამ ქუჩის ეურეს შეუხვია თუ არა ერთი ხანხანს და ხვითხვითს მოჭყვა. ამ ხვითხვითს ბანა მიჭსტეს იმ ღრმა კაცმაც, რომელთაც დუქნას პატრონს უჩინეს მუშას ჯობე-ბი დაუხხროკეო. თურმე ნუ იტყვიო, ის ათას ფრანკიანი ბანკის ბი-ლეტი ყაღბი ყოფილა და ამ რიგად კი გასადაეს 800 ჟრანკათ.

— დუელები ქალებ შორის. ნუფრკვიდამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელს თვეშიო ექვსი დუელი მოხდაო ახალ-გაზდა ქალებ-შორისაო. უკანასკნელის დუელის ამბავი ეგვალად უფრო დირს-საც-ნობია. ორი გასაახოვარი ყმაწვილი ქალი ეკვლინა მენსონი და ჯენ-ნი ლენდსკევი ქალიან მეგობრები იყვნენ ჯერ მამინ როცა სასწავლე-ბელში ყოფილან. სწავლის შესრულების შემდეგაც ერთმანეთთან მე-გობრობა ქქონიათ და ხშირი მისვლა-მოსვლა. ბოლოს მოჭსდენიათ-დუელი—იციოთ მეტე რაზედ?—ჩხუბი მოსვლიათ ქადადდის თამაშო-ბაში! დუელი რეკოლეკრებიოთ ქქონიათ და ერთმანეთზედ ხუთს ნა-ბიჯზედ უნდა ესროდნათ სამ-სამჯერ. ეკვლინა მენსონს ჭკრებიო პიჩ-ველი ჯერი სროდისა, რაჯერ უსროდნია და მეტე თითონ გაჩკრე-ბულა და უთქვამს, ესლა შენი ჯერიაო. მამინ ჯენნი ლენდსკეს ნი-შანში ამოუღია თავისი მოპირდაპირე, დაუტეშინებია რეკოლეკერი და ტეგია მარჯვენა მკლავში მიუხვედრებია. ეკვლინა მენსონს ტვივილი-საგან გული შეჭსწუხებია და წაღვეულა. სეკუნდანტობათ ჭყოლიათ უწინდელი თავიანთი ოსტატი ქალები. ისე მძიმედ დაუჭრია ჯენნის საცოდავი ეკვლინა, რომ ამბობენ თუ მკლავი არ მოიჭრა, მოკვდე-ბოა.

— ეინ უფრო მალე თხოვდებო ქერა თმიანი ქალი თუ შავ თმიანი. გაყოთ „France“ ამტიცებს რომ ანგლიაში ესლა

თან-თან მრავლდება შავ თმიანი ქალიშვილები და იქაური ქალები იმედუნად უფრო ადვილად თხოვდებიანო, რომოდესადაც მათი თმა შოკს აჩინო ფერით ქერს და რქოს ფერს თმაზედაო. 737 ქალში 33 რქოს ფერ თმიანი ყოფილა, 95 ქერა, 240 ღია წაბლის ფერი, 336 მოჭირებულნი წაბლიფერი და 33 შავი თმიანი. ქერა თმიანი ასში რამოდენა ცხრამეტი, გათხოვილა ღია წაბლის ფერ თმიანი ასში სამოცნი და მოჭირებულ წაბლის ფერ თმიანი ასში სამოცდაცხრა.

— ხნიერი კუ. 1879 წ. ივნისში ერთს მდინარეში დაუჭერათ გუ. შურგის ფარზედ ჭქონია ამოჭრილი ისპანიის ღერბი და ეს წარწერილება: „1700 წელსა დავიჭირე ეს გუ. ერხანდო გომეშმა.“ საპატო მონუმი ისევ ჩაუვლიათ წყალში ამ ახალის წარწერილებით: „ესტენ ჭკრად. ელარიდა. 1879 წ.“

ხერხი ჰსჯობია ლონესა თუ კაცი მოიგონებსაო. ერთი მოგზაური მისულა სტამბოლს და როგორღაც ფათერკად მოსკლია შესვლა მაჭმად II ხადში, საცა სხვა რჯულის კაცს შესვლა აკრძალული ჭქონდა იმ დროს და თუ შევიდოდა სიკვდილით დაჭსჯიდნენ ხელმე. ეს უბედური მოგზაური დაცხირეს და მიჭკვარეს თურმე ფადიშაჰსა.

— რას გიზმენ შენ დღეს? ჭკითხა სულთანმა და ზედ დაუმატა: თუ იტყუებ, წყალში ჩაგადებენ და თუ მართლეს იტყვი — ჩამოგახრებენ.

— წყალში ჩამაგდებენ! უპასუხა მოგზაურმა შეკერცხლად და ამ პასუხით გადირჩინა თავი: ვერ ჩააგდებდნენ წყალში, იმიტომ რომ მაშინ იმისი სიტყვა გამართლებოდა და მართლისათვის ზიკობისამებრ უნდა ჩამოეხრათ და ვერც ჩამოახრებდნენ, იმიტომ რომ მაშინ იმისი სიტყვა გაბტყუნებოდა და ტყუილისათვის იმავე ზიკობისამებრ უნდა წყალში ჩაეგდოთ.

— ლილაც საწამლაღია. შტეტინში როცა სარეცხს ღილას უშვებოდა ერთი მრეცხავი დედა-კაცი ეური არ ათხოვა თურმე, რომ ხელი გაფხანდილი აქვს. ხელმა თურმე ტუხა დაუწყო მას მერმედ, მერე დაუსივდა და ექიმმა ჰსთქვა, რომ სისხლში საწამლაღი შეჭვარვიაო. საცოდავს კანალამ ხელი არ მოჭსტრეს, ასე თურმე საშიშრად გაუხდა ხელი.

თეთრი არაბები. შორტუგალიელმა მოგზაურმა აფრიკაში, სერნა შინტომ, წარუდგინა სორობონას თავისი მოგზაურობის აღწერა, რომელიდანაც ჰქვანს, რომ მას უზოგონია შუა აფრიკაში თეთრი არაბები, რომელთა თანახმადაც აქამომდე სხვა და სხვა დაუწყებელი ჭორები დადიოდა. მისგან ნაზოგონს ხალხს კასკეკრები ჰქვიან იმათებურად და კუჩისა და კუბანგოს მდინარეებ შუა შინადრობენ. ამ გელურის ხალხის კანი უფრო თეთრია, ვიდრე კაკასიის თემის ხალხებისაო, თმები ხუჭუჭი აქვთო, როგორც ეგიპტის თემის ხალხებისა და თვალები გეზათ უსხედთ როგორც მონგოლებისაო; ახოვანის ტანისანი არიან, შატარ-შატარა გუნდებთ ცხოვრებენ ოთხი თუ ხუთი ოჯახი ერთადო და ელის ხალხის ცხოვრება აქვთო.

— ხელოვნების საკვირველება. ამერიკის შტატებში დაქვეითებულ საოცარი საათი, რომლის მუგზავსიც აქამომდე არამც თუ ნახულა სადმე, არც ვი ვისმე გონებაში წარმოუდგენია. საათი გაუკეთებია ერთს მოქალაქეს კოლუმბის ქალაქში (ამერიკაშია, ოგაიოს შტატი) და მთელი რვა წელიწადი. უმუშავნია ზედ. სიმაღლით საყენ ნახევარია, სიგანით საყენის სამი ჩარეკი და დამუარებულია არწივის კლანჭებზედ ბრქვალეუბ შარის, რომელთაც ცამეტი ისარი უწერიათ და ზედ ცამეტი ადრინდელი შტატის რესპუბლისა გამონატული. საათის დასადგმელის ორივე მხარეს ორი უმთავრესი საქმეა ამერიკის ისტორიისა გამოსახული, სახელდობრ, ბრძოლა განთავისუფლებისათვის და

ბრძოლა ურთიერთობისი. აჭკ მონახს უშეკლებელი შენობა „independence Hall“, მისი საშრკელთა თავის წარითა და მოხუცი კაცი გამზადებული წარის დასარკვად. ღმერთთა თავისუფლებისა საათის წარისა ქსტემს. ერთა რუბი საათისა გაივლის თუ არა, რთქლ-მავალა გამოდის ნიშნად იმისა, რომ კეთილ-დღეობა ამერიკისა სწრაფად მიდის წინ. მეორე რუბი საათისა გაივლის თუ არა, „independence Hall“-ის წარი ქსტემს და იმავე წამს გამოდის ვაშინგტონი და დიდებულად, შედიდურად უკლის განს და ისევე შედის. მესამე რუბზედ მოციქულნი იკრიბებიან ქრისტეს წინ. პეტრე მოციქული მამლის უივილზედ უარ-ჭუთოს ქრისტესსა. მეოთხე რუბზედ თვითონ საათის წარი ქსტემს. შუაღამის და შუადღის ნიშნად გამოდის სურათი მონათა განთავისუფლებისა: ღინგოლნი გამოდის, ხელში განთავისუფლების მანიფესტი უჭირავს და მიისწრათვის მონისაკენ, რომელიც ბოძსეა შიკრული ჟინჯილით. ღინგოლნის მისვლის უმაღვე მონას ხელ-ფეხიდან ჩამოჭსტვიკა ჟინჯილი და ხელები ისე დაეკრიბება ხალხე გულზედ განთავისუფლებულს მონას თითქო სამადლობელს ღოცვას ამბობსო.

„დროება“- „ივერიის“ გამოცემაზე

მომავალ 1880 წელს.

მომავალ 1880 წლის 1-ლი იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ყურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იეოლიები ექთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ყურნალ-გიზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოდ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ყურსალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

გაზეთის შესაიერ სტატიებს შესახებ შინაურის მიმოხილვისა და პოლიტიკისა, მართლ „დროებაში“ მიეცემა ადგილი; ხოლო უფრო ვრცელს სტატიებს რომელსაჲ განსაკუთრებულს საგანზედ, პოლიტიკისა და შინაურის საქმეების შესახებ, ექნებათ ადგილი ყურნალს „ივერიაში“. ამის გამო მომავალის წლიდან ყურნალი „ივერია“ უფრო იმ გვარს წიგნებს დაემსგავსება, რომელთაც რუსები „სობორნიკს“ ეძახიან, ვიდრე დრო გამოშვებითს გამოცემას; განსაკუთრებულნი ყურადღება რედაქციისა ექნება მაქცეული იმაზედ, რომ „ივერია“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნიც იყოს, და ამისთვის უფრო ვრცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს როგორც თარგმნილებს, ისე პირ-და-პირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც იმ სახით დაიბეჭდებიან, რომ მერე ცალ-ცალკე წიგნად შეიკრებოდეს.

ამ შეერთების შრომისა და ღონის წყალობით, „დროება“-
„ივერის“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას
მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებს, რადგან ამ საქმეში
ჩვენთა უკეთესთა მწეარლთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თა-
ნაგრძნობა.

ხელის - მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკზე,
ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ
მოთხოვნა: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію «ДРОЗБА» - «ИВЕРІИ».

ფ ა ს ი

წელიწადში: ექვს თვეს. სამც თვეს.

	„დროება“ და „ივერია“	— ერთად	— 13 მან.	— 7 მან.	— 4 მან.
ცალკე	„დროება“	— — —	9 მან.	5 მან.	3 მან.
	„ივერია“	— — —	6 მან.	4 მან.	2 მან.
ცალკე ნომერი	„დროებისა“	— —	ერთი შუური.		
	„ივერიისა“	— —	ორი მანათი.		

სხვა ვადებით ხელის მოწერა არ მიიღება.

სკედრი ფული ხელის-მომწერმა ურუნალ-გაზეთის დაბარებისა-
თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ } ილ. ჭავჭავაძე.
სერგ. მესხია.

გამომცემელი „დროებისა“ — სტ. მელიქიშვილი.

გამომცემელი „ივერიისა“ — ილ. ჭავჭავაძე.

ი 383
1879

ბრიგოლ ჩარკვიანის

ქართული წიგნის მალაზთაში

ისეიდება.

ყოველ-გვარი ქართული წიგნები.

მალაზია ქვაშეთის ეკლესიის შენობაში № 1 კვ 2.

გარეშე მხოვრებთათვის აღრესი:

Въ Тифлисъ,

книжный магазинъ Гр. Чарквіани.

въ зданіе Квишветской церкви № 1 и 2.

გამომცემელი „ივერიისა“ ილია ჭავჭავაძე.